

ვახტანგ თვათაშვილი

ლექსებით
მომიგონებენ

პასტანბ თვარელაშვილი

**ლოქსებით
მომიგონებენ**

(კაფიები, გალექსებანი)



გამომცემლობა „ანი არსალი“
თბილისი 2005

უკ (UDC) 894.631-91+894.631-1
თ-533

კრებულში დაბეჭდილია ქართული ხალხური სატირულ-იუმორისტული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ვახტანგ თვარელაშვილის კაფიები და გალექსებანი.

მოწინააღმდეგის პიროვნული ნაკლის მხედება, სიცრუის, სიზარმაცის, მცონარობის, ვერაგობის, თაღლითობის გაკიცხვა და დაგმობა – აი, ხალხური მოლექსის ძირითადი თემები...

კრებული განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

რედაქტორა **ტრისტან მახაური**

კრებული იბეჭდება ვახტანგ ცოცილაურის ნივთიერი დახმარებით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას.

© ვ. თვარელაშვილი. 2005

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0128, ი. ჯანაშიას გამზ. 1, ☎: 29 09 60, 9(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-0-809-9

გაუტყველი მოღმესა

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა შუაფხოში, შეუძლებელია არ დამახსოვრებოდა ვახტანგ თვარელაშვილის სახელი. ვახტანგი იყო ძირძველი ფხოველი, ქისტაურთ თემის წევრი, ლაღი იახსრის ყმა, კვიმატი ენის პატრონი და შეუღარბებული მოღმესე. XX საუკუნის მეორე ნახევარში მან გარკვეული ამაგი დასდო ხალხური სატირულ პოეზიის განვითარებას და იგაღსწინო ადგილიც დაიმკვიდრა ლექსის მათქვამთა შორის. მისი მსუსხავი კაფიები და გაღმესებანსა სეპირად ვრცელდებოდა არაგვის ხეობაში, ბარშიც აღწევდა და ლექსობის ნიჭით გამოჩნეულ სწავლულებს მასთან პოეტური პაექრობისათვის განაწყობდა. მთაშიც ბევრი მეტოქე ჰყავდა. უნდა გენახათ ივლის-აგვისტოში, ათენგენობის დღესასწაულებზე, კრახანებივით როგორ ესეოდნენ ენაწყლიან მოღმესეს. ის ერთი იყო, მაგრამ ყველას ამარცხებდა.

ვახტანგ თვარელაშვილი დაიბადა 1926 წლის 13 მაისს დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოში. მამამისი, უგემურ თვარელაშვილი, ტკბილმოუბარი კაცი იყო. ნათლობის სახელი ნიკოლოზი ერქვა, მეტსახელად კი უგემურს ეძახდნენ. აწ განსვენებულ პოეტს ალექსანდრე გაბურს ერთხელ, ავტობუსით მგზავრობისას, უკითხავს: ვინ დაგარქვა უგემური, პაპა გემრიელიო? უგემურმა რა უპასუხა, აღარავის ანსოვს, სამაგიეროდ შემორჩა მისი მონაყოლი: „ერთხელ დუშეთში ვიყავი. ჩემი მეგობარი რეზო დარბაშვილი ნასკამი შემხვდა. ბევრი მეფერა, მერე კი მითხრა: ასეთ კარგ კაცს ვინ დაგარქვა უგემური. მე იმისი დედა ვატირეო! — დედამ დამარქვა, რატომ მიღამდავ, შენი დედაც ვატირე! — ვუთხარი გაჯავრებულმა. რეზო გაშრა... მე ავუსხენი: წინათ ჩვენს სოფელში ოთხ კაცს რქმევია უგემური. ბაღლობაში ძალიან ჭირვეული ვყოფილვარ... სულ ვტიროდი თურმე... დედას უთქვამს: ვარუდო, შე უგემურო, რა ვატირებხო. მას შემდეგ შემერქვა უგემური“.

მე თვითონ შევსწრებივარ, ამ კეოილსინდისიერ კაცს უგემურობით რომ მიმართავდნენ, მას კი არა და არ სწყინდა. ასე იცის შეჩვევა თიკუნმა.

უგეჟური ზეპირსიტყვიერების კარგი მცოდნე იყო. თავხვეის-ბერ ბიჭურ ბადრიშვილთან ერთად ის ფშავისხევის ტრადიციული საზოგადოების ერთგულ დამცველად და ჭირისუფლად ითვლებოდა.

ვახტანგის დედა-დედუკა ლეგუას ასული ბობლაშვილი უკანაფშავის სოფელ ელიაგზიდან იყო, სათნო და კეთილშობილი, წერა-კითხვის მცოდნე, რაც იშვიათობა იყო მაშინდელი მთის სოფელში.

მშობლებმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს ვახტანგის ზნეობრივ აღზრდაზე. კაფიობაში უაღრესად უნაძვარე კაცი იჯახში, ნათესაობაში, თემ-სოფელში სინდისითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა. „მეზობლის ქალ-რძალს მრუში თვალთ არასოდეს შეხედავდა, წესიერად იცხოვრებდა და ისე აღესრულა“, – აღნიშნავდა ჩვენთან საუბარში თამარ ბაიაშვილი.

ვახტანგმა 1942 წელს დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატი.

პირველ ხანებში მეშობდა შუაფხოს კოლმეურნეობის ფერმის გაბეგვ. იქვე მუშაობდა მისი სიმეც. ვახტანგს დიდი მარცხი მოსვლია: ერთხელ ვეტფერშალს ოცდაექვსი ძროხა აუცრია. ყველა დახოცილა. ფერმის ახლო-მახლო კაციშვილი ვერ გაივლიდა თურმე. მიდამო ლეშზე მოსული ყორნებით ყოფილა დაფარული. ვახტანგი და მისი თანამშრომლები დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დამდგარან. ამის თაობაზე მოლექსე შეეთეს კიდევ შეუძღერნებია ვახტანგისთვის:

- შენ და შინ სიძემ შესჭამეთ ე კოლექტივის საჭონი.
- როგორც შენ აშხონ მართაფსა, მას კაცხონდეს ხაჭონი!
- უპასუხია გაჯგარობულ ვახტანგს

მეცხოველეობის დარგისთვის შეუფერებელი ძილექსე კაცისთვის, ბილოსდაბოლოს, შესაფერისი საქმე გამოუძებნიათ და 1955 წელს უკანაფშავის ქობ-სამკითხველოს გაბეგვ დაუწიშნავთ. – ზაგშობიდანვე მიტაცებდა წიგნის კითხვა, – გვამბობდა ვახტანგი. – მაგრამ ახლა უფრო მეტი დრო მომეცა თვითგანვითარებისათვის. წიგნები ცოტა გვქონდა, ინტერესი კი დიდი იყო და წაუკითხავს თითქმის არაფერს ვტოვებდით.

1957 წელს ამ თანამდებობიდანაც გაუთავისუფლებიათ.

1958 წელს აურჩევიათ უკანაფშავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიდგნად. აღნიშნულ თანამდებობაზე ოცდაცამეტი წელი იმუშავა. მხოლოდ 1991 წელს, უკვე სამოცდახუთი წლის ასაკში, ვათავისუფლდა მდივნობიდან და პენსიაზე გავიდა.

ვასტანგ თვარელაშვილის ნაცნობებს განსაკუთრებით მისი მდივნობის პერიოდი ახსოვთ. მისთვის რომ გვეკითხათ, დაკისრებულ მოვალეობას კარგად ართმევდა თავს, თუმცა კურიოზული შემთხვევებიც ჰქონია მუშაობაში ერთხელ მაღაროსკარში დაუთვრიათ, რაღაც საბუთი დაუწერიანებიათ, მერე კი გაუღექსებიათ.

შე ღურაში გამოზრდილო, არ გინახავს ღენის შუქი,

თუმც ორთვალბო ბრმა ქვეყანას, ჯიბით დაგაქვს ბეჭედ-ლუქი.

ვასტანგის ასალგაზრდობაში ჯერ კიდევ ძველი იერი ჰქონდა შერჩენილი ფშავ-ხევსურეთს; ძველებური წესით იმართებოდა ხატობები, ქორწილები, ხვით დასტიროდნენ მიცვალეულებს. სათიბშიც ისევ გაისმოდა სევდიანი კილო „გვრინისა“. ძველი თანდათან ტოვებდა ასპარეზს და გზას უთმობდა ახალს. სწორედ ძველის და ახლის გასაყარზე უხდებოდათ ცხოვრება ვასტანგის თანატოლებს. მთიელები ძილად ამობდნენ შველს და ასევე ძილად ევლებოდნენ ახალს.

ვასტანგი ტრადიციულ საზოგადოებაში აღიზარდა და, ბუნებრივია, იგი იმ საზოგადოების ზნებრივ-ეთიკური ნორმებით ცხოვრობდა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ახალი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო.

დღემდე არავის ახსოვს, რომ ვასტანგს, როგორც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს, ვინმე დაესაჯოს ან გაემწარებინოს, პირიქით: კიდევ ექსიმავებოდა გაჭირვებულ ადამიანებს. ასეთი ხასიათი მას თავიდანვე დაჰქვა. ბუნებით რომანტიკოსი იყო და, აბა, ვის დაჩაგრავდა. მოქანდაკე გოგი ოჩიაური ივონებს: „ვასტანგ თვარელაშვილი იყო ჩემი თანატოლი და მეზობელი. თანშეზრდილები ვიყავით. ერთხელ სათიბში წავედით ერთად. ორი დღე ვიყავით. დაშე იქ დავრჩით. ვერაკერი გავითბეთ – სულ ლექსების საუბარში გავატარეთ. მიყვებოდა, ლექსობდა...“ (აღმანახი „პირიშე“, №6, 2004, გვ. 127-128).

ვასტანგს უამრავი მეტოქე ჰყავდა, დაწყებული ძველი თაობის მოღვაწეებით და დამთავრებული სულ ახალგაზრდებით. მის

მოწინააღმდეგეთა არასრული სია ასეთია: შეთე ხახონიშვილი, ჭრელა უძილაური, ნიკო ბულაღაური, იმედა ხოშურაული, გიორგი მჭედლური, ხეთისო ბაიაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, პავლე ლომიაშვილი, ვახტანგ ხოშურაული, ივანე თათარაშვილი, გიორგი სესიაშვილი, ირაკლი გოგოლაური, ირაკლი ლაშქარაშვილი, გოდერძი მჭედლური, ხეთისო თორღვაშვილი, ბესიკ ქორაშვილი, მიხეილ დანიშაშვილი...

ყველაზე მწვავედ მაინც გიორგი ელიზბარაშვილთან იყო გადაკიდებული. ეიორგი მათურელი იყო, ძველი მოღვემის — ფუნჩია ხუციშვილის შვილიშვილი. პაპისაგან მხოლოდ ლექსობის ნიჭი დაჰყვა, ცხოვრების შინ კი არა ჰქონდა. სანამ დედა, სახელად ბებოქალი, ჰყავდა ცოცხალი, არა უშავდა. მშრომელი იყო მისი დეიდაც, ბებოქალი და, ამ ორ ბებერზე იყო დამოკიდებული მთელი ოჯახის შენახვა. მათი სიგვლილს შემდეგ გიორგის სარჩო გაუნიაგდა და ოჯახიც დაეზგრა. ამიტომ დასცინის თერარელაშვილი ერთ ლექსში, როცა გაქცეული მუქდღის საძებნელად წასულ გიორგის ეუბნება:

„ეგება მალე მაჰსელო,

ვინც სარჩო დაგიველაო“...

გიორგის ხელმოკლეობაც რა გასაკვირი იყო, როცა „საერთოდ, ფშაველი მოღვემეებიდან არცერთი არ ყოფილა შეძლებული ცხოვრების პატრონი“ (აპოლონ ცანავა, გაღვემება-გაშაირება და ფშაური კაფია, 1964, გვ. 28).

გიორგის სიტყვა წყალივით მოსდიოდა. ყველაზე ღირსეულ მეტოქეობას ვახტანგს ის უწევდა. სხუებს იოლად ამარცხებდა ვახტანგი, ამას კი ადვილად ვერაფერს უხერხებდა. ვახტანგის მძახალი პავლე ლომიაშვილიც ანგარიშგასაწვევი მოღვემე იყო, მაგრამ მისი ნათქვამებიდან ბაღიან ცოტა გაღარჩა, თავის დროზე არავინ იწერდა, რომ შთამომავლობისათვის შემოიქნახა.

ვახტანგი, ხალხში მოპოვებული დიდი სახელის მიუხედავად, შენსიერ-მკვლევართა და პუბლიცისტთა ყურადღებით არ იყო განებივრებული მაშინ, როცა ზოგიერთი სახალხო მთქმელი ყოველ ოლიმპიადაზე გამოჰყავდათ და ხშირად აკითხებდნენ ლექსებს. ერთადერთი წერილი, რომელშიც ვახტანგზედაც არის საუბარი, ეკუთვნის აწ განსვენებულ ფოლკლორისტსა და ენათმეცნიერს ილია მაისურაძეს. იგი წერდა: „უსათუოდ ყურადღებას იმსახურებს

საბჭოს მდივანის ვახტანგ თვარელაშვილის კაფიები, რომლებსაც ავტორი არ წერს, ისინი ზეპირად არის გავრცელებული მთელ ფშავში...

ახალგაზრდა მიქმელის ლექსებში მაღალზნებრივი იდეებია ჩაქსოვილი. ლოთობას მიჩვეულ ერთ თანასოფელს, მისდამი საგანგებოდ მიძღვნილ სატირულ ლექსში, იგი ურჩევს, ზელი აილოს ამ სააუგო ჩვეულებაზე და ასეთი მოხდენილი, ხალხური პოეზიისათვის ჩვეული, სადა და კრიალა სახეებით აყალიბებს სტრიქონებს.

არ შევშვენოდა ვაჟკაცსა, ფუნზე ვეღარ დგებოდი,

მუხლებს მიწაზე ათრევდი, წელში შუპყასებრ ტკეცობდი.

კაცი, სიცოცხლის მძებნელი, მუცლის გულისთვის კვდებოდი.

სირცხვოლსა კრებდი და თითით საჩვენებელი ხდებოდი“.

(ილია მაისურაძე, მთების დიდი გაზაფხული, „ლიტერატურული გაზეთი“, 1961, №46).

ვახტანგ თვარელაშვილის სატირა მძაფრი იყო და დაუნდობელი. მოლექსემ იცოდა, რომ სიმართლის მიქმელს ცხენი მუდამ შეკაზმული უნდა ჰყავდეს, მაგრამ ეს ფრთხილი ანდაზა არ ამინებდა და შეუპოვრად, არაჩვეულებრივი პირდაპირობით ამხელდა საზოგადოებისა თუ პიროვნების ნაკლოვან მხარეებს. კომუნისტების ხანაში, როცა სიმართლის პირში თქმა აკრძალული იყო, ვახტანგი დაუნდობლად ამბობდა დიდი თანამდებობის პირებს, გამომძალველებს, თაღლითებს, კორუფციონერებს. მისი ლექსის მთარაზი მეტად მწვავე და მტკიცენიული იყო. 1975 წელს თანამდებობიდან გაათავისუფლეს საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ შადურა და მის ნაცულად დანიშნეს ია გამრეკელი. ვახტანგ თვარელაშვილი მთავრობის ცვლას ლექსით შეხვდა. გააღიქვა აგრეთვე იმდროინდელი აღმასკომის თავმჯდომარე ვიორკი წიკლაური, რომლის თავმჯდომარეობაც ძალიან ახარებდა მის თანამოძმეებს — „პერანგჭრედ“ ხეესურებს. ხალხს გულუბრყვილად სჯეროდა, რომ ახალი მდივანი ყველას პასუხს მოთხოვდა, მიზეზს გამოუძებნიდა და სამსახურიდან დაითხოვდა. ამ დროს ფშავლებსაც ჰყავდათ თავიანთი კაცი მთავრობაში — რაიონული გაზეთის მთავარი რედაქტორი უშანგი ბოძაშვილი. ამ გაუსწორებელ ქვეყანაში ყველა საკუთარ ჯიბეზე ფიქრობდა. ქვეყნის ბედი კი არავის ანაღვლებდა.

მოიდა ია გამრეკი: „გამრეკავ ღუშეთელებსა!“
აწ, როგორც შადურის დროსა, ვედარ მაითობთ ხელებსა.
გფარავდათ, გეხმარებოდით თერგელი არაგველებსა.
ვერც ეხლა გაიგებენა, რო ახლები სჯობს ძველებსა?!
„აკაცი გვყავ მთავრობაშია!“ — უხარის პერანგჭრელებსა.
წვენცა გვყავ ბოძათ უშანგი, ფშავლებს ეგ გასასხელებსა.
ფერად სათვალეს იკეთებს, ქუჩებს სუ მამბნელებსა,
გაიდრიცება წელშია, ვარა სცნობს შარახველებსა.*

გავიდა ორიოდე წელი და ია გამრეკელიც მოხსნეს, რადგან ვერ გაამართლა. იგი პროფესიით ხელოვნების მუშაკი იყო და მეცხოველეობის დარგისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, ღუშეთის რაიონში კი, ყველას მოესხენება, რომ ძირითადად მეცხოველეობა იყო განვითარებული და ამ საჭმეს დიდი პატრონობა და გაბლოლა სჭირებოდა.

ია გამრეკელის გათავისუფლებას და თბილისში გადაყენას ვახტანგი ლექსით შეხვდა:

ვერ ვაიგეთა, ღუშელნო, რა მოვიდა იასა, —
ერთი მჭამელი შაკლდა ბიუროს წვევრთა სიძსა,
თბილისში გადაიყვანეს, ის დასდგამს სამაიასა.

ვახტანგის მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა რეგიონში მომხდარი რაიმე მოვლენა, ლექსად რომ არ გამოხმაურებოდა, ხალხს მოსწონდა მისი სატირული ლექსების მამხილებელი ხასიათი და აზრის სიმახვილე.

სატირულ ლექსებს დაცინვასთან ერთად დიდი აღმზრდელობითი და მორალური ფუნქცია აკისრია, იგი ხეობასკენ უბიძგებს მკითხველს. ვახტანგის მახვილი იემორი ჯანსაღ განწყობილებებს ქმნის. იგმობა სიზარმაცე, მცონარობა:

„ჭამაში ჩაგეძინება, გენაცვლე შადა-შნოშია,
ან კი რა არის საჩქარო შატარა საწვიროშია?“

(„ვიორგი ელიზბარაშვილს“)

ვახტანგის ლექსებში გვხვდება ბრძნული გამონათქვამები. აფორიზმები:

* უშანგი ბოძაშვილის სოფელი.

„ხომ იცი, ავის მთესველი კაცი მკელია ავისა“.
„ცუდია ცუდის ჩამდენი, კარგი ვის დაუგმავისა“.
„სისხლს ხომ ვერ დაჰბან სისხლითა, კეთილს ვერა შობ ავითა“.
„კაც კაცად უნდა ვარგოდეს, ფულ ცეცხლში ჩამიწვავისა“.
„აქ სჯობს, სიკეთე დასთესო, იქ ვის რა წაუღავისა?“
„თუ კაცი კაცად არ ვარგა, რა ფასი აქვის წონასა?“
„საქმეს თუ ხელი მოჰკიდე, რა არის დაუძლეველი?“

არის ანდაზური განოთქმბაც:

„თქმულა: კაცი არს შიგნითა და გველი გარეთ ჭრელია“.
„სად გაგონილა, არწივისა რომ შიში ჰქონდეს ყვავისა!“
„ვის უნახავის, სად თქმულა: ქათმებს მწყემსავდეს მელია?“

ვახტანგი ის კაცი იყო, ვინც სიკვდილსაც ლექსად ეპაექრებოდა. ერთხელ, მძიმე ავადმყოფს, თავს დასდგომია სულთამხუთავი. ვახტანგს ასეთი სიტყვებით გაუსტუმრებია იგი:

„ძიქელ-გაბრიელ მესტუმრა, თავს მეღვა, როგორც ჩაფარი,
უკანავ წავაღებინე კუბოზე გადასაფარი,
ვუთხარ: მაგის დროც მკალოს, ან კი რა არის საჩქარი?“

რუსთაველი გვეუბნება: „ვერვის ძალეუს ჰორციელსა განგებისა გარდავლენა“. ბოლოს განგების დროც მოვიდა: 2001 წლის 13 სექტემბერს ვახტანგი გარდაიცვალა. სიმბოლური და საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის რიცხვი – 13. ამ რიცხვში მოეკლინა იგი ქვენიერებას და სწორედ ამავე რიცხვში დატოვა წუთისოფელი. დაკრძალეს შუაფხოში, იახსრის სალოცავის გვერდით. სოფლის სასაფლაოზე. გამოსათხოვარ სიტყვაში ილია ყუხოველმა თქვა, რომ შარხავდნენ დიდ ნიჭს, სიკეთითა და პატიოსნებით გამოირჩეულ ალაშინს, უბადლო მოღვემეს.

ვახტანგ თვარულაშვილს საკუთარი ლექსით დაემშვიდობა მის მოპაექრეთაგან ყველაზე ახალგაზრდა, პოეტი მიხეილ დანიშაშვილი. ვახტანგის დაკარგვით კიდევ ერთი პოეტური ბურჯი გამოეცალა არაგვის ხეობას.

ვახტანგ თვარულაშვილის ლექსები და კაფიები, ერთ წიგნად შეკრული, პირველად იბეჭდება. იმედია, ინტერესით შეხედება მკითხველი.

ტრისტან მახაური

კ ა ზ ი ე ბ ი

ვანტანები და ჭრელა უპილაური

ვანტანგი: შუაფხოს შამაიარე, ბევრ ქვრივებ დაგვრჩა ბერწადა.
ჭრელა: აბა, საიდან ვიციოდი, არ გითქომ ამის მეტადა.
იქნება შამოვიელიდი, შამოვლა გულით მეწადა,
დადი ხნის ნაქვრივადი ვარ, მოვედებოდი ცეცხლადა.

მათე ხუციშვილი და ვანტანო თვარელაშვილი

მათე: დედა გიტირე ვანტანგო, შავაჯე, როგორც ოლოლი.
ვანტანგი: მე კი შენ ჭალებ დაჯჩხვერე, გვერდზე რო გიზის ოროლი.

ნამაწერინა ზვიად კახანიშვილმა (რედ.)
23.IV.2003 წ.

კაკლე ლომიაშვილი და ვანტანო

კაკლე: შენც შამილექსე, ვანტანგო, ერთ კოჭლ ცოლ მეცა მყავისა
ვანტანგი: არ მიმივალის თვალ-გული, თუ ჩემსას არა ჰყავისა.
კოჭლები, ბრუციანები სუ უკან გამიშვავისა.

ვანტანები და ჟორთიხაძე

(გიორგი მჭედლური)

ჟორთიხაძე: დედას გიტირებს, ვანტანგო, მე რო ძმა მყავის პაპია.
ვანტანგი: ე მაგას შაუვარლები, გამოვთრი, როგორც ტყლაპია!

ვანტანები და შეთე ხახონიშვილი

შეთე: შენ და შენ სიძემ შასჭამეთ ე კოლექტივის საქონი
ვანტანგი: როგორც შენ ამბობ მართალსა, მამა გიცხონდეს ხახონი!

კახტანზი ღა ვათე ხუციშვილი

მათე: რატო არა სჭამ ხინკალსა, ვახტანგ, დაგიწვი გამზრდელი.
ვახტანგი: ცხელია, როგორა ვჭამო, ამას შაურცხვეს მამზელი!

კახტანზი ღა სასიმაპრო

სასიმაპრო: რამდენ ხინკალი შესჭამე, ვიანგარიშოთ, ვახტანგი.
ვახტანგი: ვანა სუ ხინკლებსა ვჭამდი, ანტრიეებსაც ვატანდი.

კახტანზი ღა შეთე

ვახტანგი: ისეთ ბიჭი ვარ, ბერიძევე, მუშტით გავანგრევე კედელსა.
შეთე: შენ თუ მაგარი ბიჭი ხარ, ფეხსაც ვერ მამჭამ ბებერსა.

შეთეს

არ შეამები, რო გნახო, შეთევე, შეგირცხვეს გამზრდელი,
ნეტავი კაცს მაინც ჰგვანდე, ეშმაკს გიგავის თმა-წვერი.
ცოლიც უკაცურთ მოგიკვდა, შენაც უკაცურთ მაჰკვდები,
ცოლი ორმოში ჩააგდე, ზედ დააფარე ფლასები.

კახტანზი ღა იმელა სოშურაული

ვახტანგი: ეხლა რას იქამ, იმელავ, რო დაგისეტყვათ ქერია?
იმელა: იქვე შაგაძერენ, ვახტანგო, საითაც გამასძვერია.
მეორედ უნდა გაკეთო, რიფა დაგასხა წვერია.
ღელაშენს ცოლად წავიყვან, შენ გამაჰყვები გერია.

პახტანბი და გელა ლიქოპელი

გელა: ეხლა კი უნდა გამაძღოთ, გავხდი თქვენ საკვებნელადა.
ვანტანგი: რომელ ერთ უნდა გაგაძღოთ, ბევრ ციცა დაღის კვლავადა!

პახტანბი და მოსე პახაური

მოსე: ეს ჩვენი ამეტყველება, შუაფხოვლების ბრალაია,
რა ვიცი, რატო არ წახვალთ, ეს ერთი კვირა არია.
ვანტანგი: იცი, შე თვალდასათხრელო, შუაფხო შორს სავალია.
ამ შხეში თვალში ბინდი მჭირს, სანამ ამოვა მოვარეა.
ეგების მამცა შენ ცხენი, სხვებისგან ნათხოვარია?
მოსე: შენ ჩემ ცხენს არვინ გაკითხებს, ერო ჭიქა ვადაკარია.
ვანტანგი: დავაბორძიკებ, მოსეო, ეხლა აღარ გაქვ ფერია.
მოსე: მოსეს ვერაფერს დააკლებ, სოლომონდით ბრძენია.

ჩაწერილია ვიორგი თურმანაულის მიერ 1964 წელს, კაფი-ობის დროს.

პახტანბ თვარელაშვილი და პახ უშტი კოტეტიშვილი

ვანტანგი: ქალაქში ჩამომიყვანეს, მჩიენეს ფილარმონია.
თვალთ კი არა მენახა, ყურით კი გამოვინია.
დამიდგეს მიკროფონები, გამამაცალეს ვონია.
ვახუშტი კოტეტიშვილო, მოდი, ნუ დამადონეა,
დროზე გამიშვი სახლშია, თავი ციხეში მჯონია.
შუაფხო-მადაროელები აინი ვართ უსაქმონია.
ვახუშტი: მე კარგად გიცნობთ ფშავლებსა, საქმე არც იქა გქონიათ.
საქმე და მოლექსე კაცია, აბა, ვის გაუგონია?!
ვანტანგი: ქალაქელებში რო დასჯე, ეხლა მოგეცა ფონია.

ლეკან ბოკაშვილი და ვახტანგ თვარელაშვილი

ლეკანი: რასა ჰვიქრობდი, ვახტანგი, როცა ქალაქში მაჰყვანდი?
ვახტანგი: წამოსვლა აქ არ მინდოდა, ფეხს უკან-უკან ვადგამდი.
ლეკანი: არ გაგიშვებენ სახლშია მომავალი წლის მარტამდი.
ვახტანგი: მუნჯი მეგონებ, ბიძაო, მადლობა ღმერთს, რომ ამჩქამდი.
ლეკანი: დამბალ ხაჭოლდამც გაქცია, რა ლამაზ გემოდ შავჭამდი.

1979 წლის 14 აპრილი. თბილისი. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი.

ალექსი ბოგნელაშვილი და ვახტანგი

ალექსი: საკვირველ ამბავ გავიგე, ლეკვა¹ ძაღლადა გქცევია.
ვახტანგი: საკვირველ ამბავ გავიგე, პაპა ძაღლადა მქცევია, წასულა ხაიქიოსა. აქ შენ მეგვდართაცა სწვევია!

ვახტანგი და უცნობი უზაველი

უცნობი: საღვთსოდ წამოგიყვანეთ შუშანაშვილი სიმონი.
ვახტანგი: მაგას ვინ გაუღვქსება, ეშმაკ კაცია, ხიმონი.

¹ ლეკვა ერეკა ვახტანგის პაპას.

გ ა ლ მ ქ ს ე ბ ა ნ ი

მონკავშირის გავგუს, კოლას

ვაზნეებს რატომ არ მაძლევ, შენ, მონკავშირის კოლაო.
ის ხვარა გგონავ, ვაზტანგმა არ იცის თოფის სროლაო?
ფეხზე ნაყულებ წაგიტყრობ, არც მინდა წამოწოლაო.
ათასჯერ ვთხოვე, არ მამეც, ამას სჩადიხარ ყროლაო.
მერე რა ხელმეტს მე მოგცემ, სახლს კი არ ჩავიყოლაო.
მჭირდება ოხერ-ტიალი, მტერ-მგელთან რომ მაქვს ბრძოლაო.
როდემდე უნდა გეხეწო, როგორც თოლია, ბროლაო?

ღუშულ მესაათეს

ხომ ყველა იცნობთ ღუშუთსა მაგ მესაათე ლოვასა,
ღელ-მამამც აუტირდება, ცოლიმც დაუწვეებს გლოვასა.
ემსაკიმც დაჰპატრონდება მაგის საათთა გროვასა.
საქმესამც გადაეყრება, გაიძახოდეს: ტო, ვასა!
ქუჩაში მათხოვარ იყოს, ჩოდეს ფულის შოვასა.

ღუშუთის სამღებროში

ღუშუთის სამღებროშია ორ მივიტანე ხალათი.
იმას რა მომავონებდა, თუ იქაც იყო დალატი.
მანეთ ორმოცის მაგიერ სამ მანეთ მივეც ძალათი.
კოქვი: „ფასი ჭკვაში დაუჯდა, დახატავს ოქროს წყალათი“
ეგ მამაძაღლის ოხერა ეგ ხომ ყოფილა ჯალათი:
ხალათი ახალთ-ახალი შეცვალა ნაძველართი.

1974 წ.

**ღუშეთის სახელგამის გაღაჯიის გაყიდვულს,
თინას**

კალენდარს რატომ არ მძღვევ, ბიძაის ქალო, თინაო,
ნეტავ ვინ დაგიკანონა, დახლის ქვეშ მიეც ბინაო?
ევ რაღა დასაძალაა ძა ვახტანგისოვინაო.
შარშანაც ბეგრი მაწვადლე, რო დღე-რიცხვ დამედვინაო.
მანეთში სერდა მეკუთვნის, როდის დაგიღვე წინაო.
სამოცს უჯრაში რად ავღებ, ორმოც რად მივაქვს შინაო.
აღალი იყოს შენთვისა, თუ ღმერთმა შეგარჩინაო,
მაგრამ მანდ სახელგამშია ვეტყობა მოგეწყინაო.
ეგრე არ არის, დობილო, გაფრთხილდი ყოველთვისაო.
ასი თვალი აქვს ქვეყანას, ნუ გეგონება, სძინაო,
თორემ ამ ღუქსსაც მოიხმენ ტელეე... რო გიღვასა შინაო.
1980 წ. 21 იანვარი.

* * *

*ერთხელ ძღაროს ჩავედი, მაშინაც საბჭოს მღვიანი ვიყავი.
შტეში და ბეჭედი თან მქონდა. დამათურეს და რაღაც საბუთები
დამაწერინეს. მერე მღღექეს:*

შე ღურაში განთზრდილო,
არ ვინასაც დენის შუქა,
თუმც ორთვალთ ბრმა ქვეყანას,
ჯიბეს ვიბეხს ბეჭედ-ლუქი.

თსუფა 14945
ავტ.მოქმ. ვახტანგ თვარულაშვილი
ჩამწ. გ. ჯაფარიძე. 1973 წ. შუაფხო

გომბორელ ზოტეჩნიკოს

დაგიწვი საწერ კალამი, ქვეყანა გაუგებარო!
ძროხების მამასახლისო, მუდამ თავისა მქებარო,
იქნებ გაქცევი კაცადა, ნეტავ მე მაინც მებარო.

„გომბორელი ზოტეჩნიკოსი იყო ალექსი გოგნელაშვილი
(ჭამიათ ივანეს შვილი). ბუნებით ცოტა მკვენარა აყო.“

ვახტანგ თვარელაშვილი

ვირის საყიდლად წასული

ვახტანგ თვარელაშვილი წავიდა მეზობელ სოცელში ვირის
საყიდლად. იქ დათვრა, ფულიც დაკარგა და სახლში ხელცარიელი
დაბრუნდა. ეს ამბავი გაიგო ალექსი გოგნელაშვილმა და გომბორი-
დან გამოუგზავნა კაფია:

ვირის საყიდლად წასული, შენ თვითონ გახდი ვირია,
ვერ გიყიდავის ისიცა, დაუფასებავ ძვირია.

ვახტანგის კახუხი

ბები რად გაგკვირებია საყიდლად წასულა ვირისა?
შენსამც მკედართადამც იქნება ადღეომას მხსნელი პირისა!
ხვთის რისხვა იმათ დამრჩალთა, მაღლი გაუწყვრეს კვირისა!
ზოგი კამეჩსაც ყიდულობს, ის ხომ ვირზედაც დიდია.
მე იმით ვამბობ ამასა, შენ რაად გაადიდია?
თქმა იშოვე სალექსო, ვულ იმით დაიმშვიდია,
თორო რა შენი საქმეა, თუნდა მეყიდა შევიდას...
ერთას შენ მოგაჩუქებდი, ხელს მაინც მაიცვლიდია.

**იოსებ გობნელაშვილს
პახტანზ თვარელაშვილისაგან**

ბიბა რად მაჰკალ ხირხალი, საქმე რადა ჰქენ ცუდადა?
ეხლა კი გაუსწორებდი, ფეხნ რო დაჰქონდენ ძრუდადა.
ტყავ მაინც უნდა გაგეჰკრა, მაინხმარებდი გუდადა.
სამართალშიაც მიეცემდნენ, შე დამნაშნავდნენ „სუდადა“,
ათ წყელს არ დაგაკერებდი, შავცეცელი ოცდახუთადა.
რაც საღაროში ფული გაქვს, დაგიფანტავდი ხუთადა,
ან ციმბირს ვაგამწესებდი, ან მეტეხს ჩასაყუდადა.²

**პახტანზ თვარელაშვილს
იოსებ გობნელაშვილისაგან**

თავის ნაკლისად რომ ბრმა ხარ, ადვილად ხედავ სხვისასა.
ბრძნულ სიტყვებს რაღარ იხსენებ ცხონებულ ვაჟისასა:
„შენ ვინა გკითხავს, დიაცო, ფარისასა და ხმლისასა.“
დე-წერით ვინ სად მოკვდება, მართლაც შენ ვინა გკითხავს?
თავის დედ-მამას მიჰხედუ, ტყვეებს რომ ჰგვანან სვითისასა.
მამაშენ, შენგან ტანჯული, საფრთხულს გამსგავსე ცხვრისასა.
წინ შემხვდა, შენ ამბავ კკითხე, მძლივსლა აქცევედა სიტყვისასა:
„რად დაგვებადა ცოცხალი, რაღარა ვთლიდით ხისასა? -
სკამად ხომ გამოდგებოდა სტუმართან დახვედრისასა.“
დედაშენ შენგან დამდნარი, ხმელ ფოთოლსა ჰგავ ხისასა.
სად ექიმებთან გავლიეს, გახვეწეს ქადაგ-კკითხავსა.
შენის გულისად უვლიდნენ, გალავანს იახსრისასა.
რამდენ საკლავით ეხვეწნენ დავლათს ღამართს ჯვრისასა,-
ცოცხალ რო გადარჩენიყავ, სმას ღვინო-არაყისასა,
მაგრამ შინ მაინც გზას ვლექ ბიბაქემ ხირხალისასა.
იმან გაგასწრო, რას იხამ, კარს გიხსნის სამოთხისასა.
იცინ, რომ ვული შეგტკევა, იქ ელის შენსა მისვლასა.
ხომ იცი, გაუხარდება, რომ გნახავს თავის ჰკევისასა.
მოხუცს მოძველი სჭირდება კაცს, სამოცდაათ წლისასა.
აქ მაინც არავს აკეთებ, სხივებსა სჩდილავ მზისასა.

² იოსებ გობნელაშვილს სტუმრად მისული ბიბა დაეღუპა სახლში.

იოსებ გობენლაშვილს ვახტანგ თვარულაშვილისაკენ

გაღეშე, განა ტყვია გეკარ, რამ მოგაქცია მეგელადა
ძალიან გაბრაზებულხარ, იბრძვი ჩემ ჩასანთქმელადა.
გესლიანს აბნევ სიტყვასა დაუნდოდ, დაუღლელადა,
დიაცასავით მამაღვგ, საკრულავ-საღანძღველადა.
მაგზავნი საიქიოსა ხორხალას მოსავლელადა.
შაუნდეს, რასაც წაუყუყვან საულაეთან დასაბმელადა,
სახელის შესადებადა, ან სულის ასახსნელადა.
იქ წასასვლელი შენა ხარ, მახინჯო, ადრით ნელადა.
შეჭყურებ ქვეყნის ამავსა, ხელს ურევ უშრომელადა,
აკეთებ საღატურებსა, რაც ბანკ ჩაივდე ხელადა.³
გამართული ხარ წელშია, კბინადრობ სანატრელადა.
ხან მამაც წაგეშველება ფულების დასათვლელადა.
ვაჰ, თუ ჰენსაც დასჭირდეს შენს ვალში დასაყრელადა!
რაც არამ შევიჭამია, ცეცხლაჲ გექცევა გვილადა.
ხვარა გგონია „ბზინა“,⁴ გაგიშვებს დაუსჯელადა?
მაღე ჩავიდებს საგბალსა ბიძაის საძებნელადა.
მამაჩემს რაღას დასცინი, მონათლე საფრთხობელადა.
ბახათას⁵ როდის მისულა ტანსაცმელთ სათხონელადა?
ევ მამაშენსაც აფრთხობდა, ტყისა რომ იყო მცველადა,
არ სჭაჭნებდა ბერავსა შეშების მოსაჭრელადა.
ვაწვწნ არ გებადებოდნოთ ცეცხლაზე დასართველადა,
ათ კილომეტრზე დასდევდა ცულ-წაღიდის წასართმევადა,
ბეგრჯელ მაჭვარა საკლავი თარაღთ დასახსნელადა.
ზამთარას ქრთამებ აძლია ემავის მოსაკვლელადა.
შენც თუ რამ ცული გიქნია, სულ კიცი დაუთვლელადა,
რაც გააკეთე წასულმა სამშობლოს დასაცველადა.
შეგიპურეს ესესელებმა, მოგნათლეს „ბერგმანელადა“,
ჩაგაცვეს ლურჯი ფარავა, ავტომატ მოგცეს ხელადა.
ძალღვივით იზიდებოდი მოძმეთა შესაჭმელადა,

³ ისოები იყო მადაროსკარის კოლმეურნეობის მფლობელი.

⁴ სალოცავი მადაროსკარში.

⁵ ბახანი - გობენლაშვილების ოჯახის ზედწოდება.

იძახდი „ჰაილ გიტლასა“, თავს სთვლიდი გერმანელადა.
გეგონა დაგაყენებდნენ „ალოლფის“ კარის მცველად.
ამას ამბობდნენ მნახველნი, ღმერთო მქენ უცოდველად!
აქ შენ ვინ გაბოგინებდა მოსულსა მავნებელად,
შევისილი გქონდა საგზური მაგადანს წასასვლელად.
შენფერ ჭკვა-გონის პატრონი ნიკიტა ბეგხვდა მსხნელად,
ქუდ უნდა გედვას გზის პირსა კაპეიკო საშოვნელად.
მელლებს ვინ ჩამოაკიდებდა ომში სისხლდაუღვრელად?!
თუ რამ ჩამოგვცა, ასიცა მკვდართა აპყარე ველად.
აქ მშიერს უნდა გტანჯავდნენ, მკვდარს კი სულაუსნელად.
რაადა სტანჯენ მშობლები უქნარის გასაზღვლად?!
ბაღის ლეკვ მაინც ეშოვა კარებზე დასაბმელად,
ერთ გვეჯა დასჭირდებოდა, საყარის ჩასასხმელად,
თუ ეგეთ გამოხვიდოდი გოგნელათ შესარცხვენად.
ეხლა ეს ლექსი გეყოფა წერვების მოსაშლელად,
თუ კიდევ დამემდურები, სხვასაც მოგართმევ ხელად.
წასვლა არსადა მჭარლება რითმების საქურდნელად,
სხვისას რამ დაიჩუბებ, თავს ასადებენ მოქმელად,
სცენაზე წარმოსდგებიან ამაყად, შეურცხვენლად.

მისილ ჭინჭარაულს

გულ ვიწუხს მთებისაკენა, ერთხელ მძლივს წახვალ წელშია,
გაივლი, გაინადირებ კლდე-ღრეშია თუ ველშია.
ჯიხვებს ვინ დასდევს, ჩხიკებიც გემრიელია სიველშია,
რას იზამ, როცა „დუშაში“, არ მოღის კამათელშია.
ერთ დღეს მძლივს მაკვალ ერთ ჩიტბი, კაცი ვადასწყვი წელშია,
ჩაიღევ გუღიაშია, გაპხვიე პლამის ძველშია.
შემოგხვდა ბალსამიშვილი, ჩაგაგდო განსაცდელშია,
იმ წამსვე ვაგაგდებინა, ოფო რომ გეჭირა ხელშია.
„შე სუფთა ბრაკონიერო!“- ხელ იკრა რეკოლეგროშია.
წამსვე აქტ გაგიშანშალა, ჩხიკე ჩავითვალა შველშია.
ოსმა რა ვიქნა ხევსურსა, გამკრინა თავვის ხვრელშია.
მიკვირდა შენი მოთმენა, ვამბობდი: „სწვდება ველშია,“
მაგრამ რა გამოიძლოდა, ჩაგაყუდებდნენ ბნელშია.

1980 წ. 10.11

ვლადიმერ წიკლაურს

ნეტავ რად გამოირგუდლი, ფულს რადარ მადღევ, ვალო?
ზომ ვითხრეს მიწისძვრისგანა, რომ სახლი დამეშალაო.
ან შენ რაისად მემღური, ან კიდევ ეთერ ქალო?
მეორედ მინდა აკება, გამიხდა ზაიაბალო.
მამაგდე ორ-სამ მანეთი, არა მაქვს ფულის ძალო.
ნულარც მე შემეღაგება, ძროხებს რო გადავძალო.
მაზეხსაც ძალე მოვასწრებ, დათვლაში შემეშალო.

1980 წ. 12.12

კენსიონერის ჩივილი

პუსია მამეც, ვაო, მიანგარიშე სწორადა.
საქმეს საჩივლად ნუ გახდი და ნუ გამგზავნი შორადა.
ზან მადღევთ, ხან კი მომიხსნით. ეს სადაური წყებია,
ვისთვის რა ცული მიქნია, ცული რა დამითუსია?
აღბათ, დღე ტულამ იცვლება თქვენი კანონი, წესია.
მაგას რად უნდა თათბირი, აღმასკომი და სესია.
რომანსაც⁶ მითქვი, უფროსსა, მეგობრები ვართ ძველია,
სიკეთეს იქამთ მაგარსა, დაგრჩებით მადლობელია.

უშანვი ბოგაშვილს

შოდა ია გამრეკი - „გავრეკავ დუშქაფლებსა!“
აწ, როგორც შადურის დროსა, ველარ მათობით ხელეხსა.
გფარავლათ, კეხმარებოდით თერგელი არაგველებსა.
ვერც ეხლა ვაიგებენა, რო ახლები სჯობს ძველებსა!?
„კ-ცი გვყავს მთავრობაშია!“ - უხარის პერანგჭრელებსა.
ჩვენცა გვყავს ბომათ უშანვი, ფშავლებს ეგ გვასახელებსა,
შავ საოვაღეებს იკეთებს, ქუჩებს სუ მათნელებსა.
გაიდრიცება წილშია, ვერა სცნობს შარახველებსა.

⁶ რომან ახალაშვილი — რაიონის სოცუზრუნველყოფის გამგე.

ორი წლის შემდეგ

ვერ გაიგეთა, დუშელნო, რა მაუვიდა იასა?
ერთი მჭამელი მააკლდა ბიუროს წვერთა სიასა.
ქალაქში გადაიყვანეს, იქ დასდგამს საძაიასა.

თავის თავზე

შირაქისაქენ წამოვედ, მიუჯავრდები ფარასა,
შეგციდი, მოგტყუვდი, დავადეგ ეშმაკის გზას და შარასა.
რალა ჩობნობის თავი აქეს ჩემფერა ჭია-მკვდარასა...
რას ვენდე ხოშურაულსა, ამ დოსმასს,⁷ წარამარასა.
აქ არც ბაკი და ფარეხი, არც ვინ დაგიდგამს კარავსა.
აქ არსად საძოვარია, ჰგავის შუაფხოს შარასა.
ისედაც გადაბუგვილსა იუდის ჯავი ჰფარავსა.
დავლივარ გადაკაწრულო, სისხლი ჩამოდის დვარასა,
შიმშილით კუჭი მიხმება, დაფში ვსვამ ნავობარასა.
მე ისე ვატყობ საქმესა, ჯალაფთ მიუყუვან არასა;
ზოგ მენოცება გზაზედა, ზოგს ყარაჯღელი გვპარავსა.
თავადაც ნახვენ ბეჭშია, ხატში რო დაჰკვლენ ზვარასა.
ჩვენ ცხვრები ანაბრებითა ხარჯებს ვერ დაგვიფარავსა.
სამ ვირი გვეყვანდა, მოგვპარეს, რითილა ვნიდავი ტარასა?
ახი კი არი ჩემთვინა, ეგრ უნდა მეტიჩარასა!

ლიცხ

ნეტაკ ხვარ გამამიგ ზავნი, წინდასა, საფუხარასა,
თუშტა ფარტენა არ იცი, არც მიუჯღები ჯარასა.
იმელი მაქვის მაინცა, ამამინხლართავ ხვარასა.
ბროწეულს მაინც მოგიტან, თუ მოვხვდი აღფადარასა.
უნდა რაიმე იღონო, თორო მეტი გზა არ ასა.

1991 წ. 17.11

⁷ მატყუარა.

კვლავ თავის თავზე

ვბინადრობ შუაფხოშია, კაც არა მყავის სადარი.
მე ფქვილის საწყობ მბარავ, დედაკაცი მყავ „ზავვარი“.
ორთახიან სახლი მაქვს, წყალ არ ჩამამდის ავდარი,
მულამ თბილი მაქვს ბუჩარი, ცივ არ მაშინებს ზამთარი.
ყველა ჩემე გამაიქცევა - ქისტილეკი თუ თათარი.
სუფრა მაქვს აუღებელი, მონხრაკული და შამწვარი.
ღვინო: „პერეთი,, „გარეჯი,, დიაცთად ჩაი დამტკბარი.
მიყვარს კეთილი სტუმარი, ზოგთებრ არა ვარ დამწვარი.⁸
თავის შრომითა ვსაზრდობ, ხელებ არა მაქვს შამხმარი.
თუ დამჭირდება სიტყვისთვის, პირზე არ მაკრავ ბაწარი,
მულამ მზადა ვარ მეტოქეს, რომ სიტყვით დავცა თავზარი.
არასდროს, არა ვყოფილვარ მოვების ვზაზე დამდგარი.
არ მინდა, დმერთმა ნუ ძამცას ნაქურდალ-ნაყაჩადარი.
სად გაგონილა, სად თქმულა, ფქვილად რომ იქცეს ნაცარი?!
ჩემთვის იოლად გავდივარ, არ მაკლავ სადილ-სამხარი.
ცხვარი და ძროხა მრავალი, თავისთვის სახნავ-საბარი.
ცოლ-შვილთ არ მამიშვიდება, ფქვილით სავსე მაქვს ამბარი.
სახლში უნჯი და ავეჯი - ყველაზე იაფ რაც არი.
სხვას ბევრს არავის ექნება ბედნიერება ამგვარი.
ბევრი მინახავს ავ-კარგი, ბევრსაც ვარ გადანაყარი.
სამოცი წლისა ვსრულდები, ცუდ არაი მაქვს ნაქნარი.
მიყვარდა ფიბიტაური, ქერ-სვილის წინწანაქარი,
მაკრამ დამჯაბნა ტიალმა, დამინიავა ნაცარი.
ბევრჯედ მიტია სიკვდილმა, მაკრამ გამოვდექ მაკარი.
იგი დროც მალე მაჰივა, ჯერ არაი მაქვს საჩქარი.
ღვინოზე უარს ვერ ვიტყვი, წინ რომ დამიდგეს ლაშქარი.
ნეტავ ვე იყოს ნორმითა და არა კარაქ-მაქარი.

განმარტება: იმ წლებში კარაქი და შაქარი ტალონებით ნა-
წილდებოდა (რედ).

⁸ მუნწი.

კატრე სიბლაშვილს

მეზობელ დალაქი გყავის, რად არ მოგპარსავს პირასა?!
ვერ იცლის საქმის დღეშია, აქ დავა შაბათ-კვირასა.
ოც თუშნის აკრევაშია ფულსა გთხოვს, ფენის ქირასა.
შინ ჯდომა - ნაცართ ქექვაში სახლში მისცემდა ვინ რასა?
ზურგითა ზიდავს ფქვილ-დერსა, ქოჭო⁹ ვერ წაადგამს ვირასა.
1979 წ. 17.02

ვასტანბ თვარქლაშვილს ჭრელა უძილაშრისაგან

მეზობელმ ვაგაცრეინა, ბიბაის კაცო ვასტანგი,
გაგიცვდა, შუშან ქალაო, უწინ რომ ფულსა ჰფლანგავდი.
სულ სასადილოში იჯე, რა თავისასა ხარჯავდი!
ქრთამებს იღებდი ცვეღვითა, რომ სჭამდი, რასა ჰკარგავდი.
სხვას დამლაგებლად არ უშვებ, სულ ხე და ქვათა ჰკაწრავდი.
ხელს არ უწყობდი თბოლ-ქერივს, დაჩაგრულს უფრო სჩაგრავდი.
ცოლ-ქმარ საბჭოში იყვნით, დაბალ კაც ამით ამაღლდი.¹⁰
ეხლა ქონაშვილ შამოგზვდა, წეს კარგად იცის, ადათი.
სხვა წელს ციხეში გაგზავნის, წელს თუ რარიგად გადარჩი.

ჭრელა უძილაშრს ვასტანბ თვარქლაშვილ-ისაგან

გავიგე, აგად ყოფილხარ, რას სჩადი ძია ჭრელაო?
დაწვი შენ დაბადების დღე, სულ შენ რად გჩაგრავს ყველაო!
გვირღს გყვანან შენებრ ბეჩვები - ალო და ტარიელაო.
გიძინა თიბა-მკაშია, იანვარშია სცელაო.

⁹ ვირის უნაგირი.

¹⁰ ვასტანგი საბჭოს მდივნად მუშაობდა, მისი მეუღლე დახმარე პერსონალი იყო.

ოვლიანს შეგცივდებოდა, არც თუ ვინ მოგეშველაო.
ნოლ¹¹ კი სჯობ ძროხებისთვისა, იციან ბევრის წველაო.
ღმერთმა ეგება გიშველოს, გამოგარჩინოს სწეული,
შაგაგლოს თავის ჯანზედა, სენი გაშოროს წყეული.
კიდეც მასძინოს კაფია, ბასრი, ჭრელაის სრეული.
მეც მამირჩინოს შუცველი, ათასგან ჩამოხეული.
არ გაეფონოს არაფი, თუ გინდაც გამონთხეული.

კანატივლებს

რამ მოგცათ კანატივლებსა ნიჭი ვაჟაის თავისა?
რად არ დასდგები, ჭრელაო, დღე დაეწვი შენი ჟამისა!
ასეთა ჯგუფში ჩაგაგლო, თავ აღარ გქონდეს ჳამისა.
თუ ვკვებულე, ძალი გამიწყურეს სახარებისა სამისა,
ქელი მეხუროს აღარა, მხოველი ვიყო ბრძამისა,
დე, აღარ ვიყო მფლობელი ჩემი სამდივნო სკამისა!
თუ არა ნახავს ქვეყანა, მოწმე გავხდები ამისა.
კიდევაც ვნახავთ, ვახტანგმა ღუკმა გაჭამოსთ შხამისა.
რამ გაგაცოფა ჩემზედა, ნეტა რა ენა გქავისა?
ჯერ შენ შეიღმ მამთხარ-მამბზარა, ღება მაყვედრა ქრთამისა.
ხომ იცი, ავის მთესველი კაცი მკელია ავისა.
რად შემოსცილდი ორწყალთა, მანდ მთავრობა გყავ თავისა.
ცუდია ცუდის ჩამდენი, კარგი ვის დაუკმაყვისა!
კარგი გვიქია, ცრული კი ენა-ყბად გაგვცვდავისა.
რომ გილექსებავ ჩემ თავი, შეცდომა დაგიშვავისა.
სად გაგონილა, არწივსა რომ შიში ჰქონდეს ცვევისა!
თაგად ხართ სადექსებლები. მქნელები ბევრი შავისა;
შენსა საკუთვნი ბებერზე შენ ჰმისწულოს დაესწვრავისა,
იმით დაგსეტყვნათ შარშანა, სიმსხოს ისროდა მკლავისა.
ტრაქტორმ ძლივს გაჭრა ნაქარი ხორხოშელაის ზეავისა¹².

¹¹ ნოლი-მოლი, მწვანე.

¹² იქ სადაც სიძვია, ხშირად მოდის სიტყვაო, ამბობენ. ვახტანგიც ამას აყვედრის კანატივლებს.

ნიკო ბულალაური ვანტანო თვარქლაშვილს

შენი ჭირიძე, ვანტანო, ბულბულის ხმაზე ჰმღერია,
შენ რო ლექს გამამიგზავნე, შოთაის ლექსის ფერია.
ისე გაყრავის ლექსები, რო ღიჯამიწას მტვერია,
შუაფხოს რაზედა სცდები შენ ეგეთ ნიჭიერია?
ჩადი მწერალია კავშირში, დაჯგო, ლექსები სწერია,
უშრომლად, უზრუნველად მოგივა ყველაფერია.
არ დაგჭირდება ხენა-თესვა, პური, თივა და ქერია.
ნეტავ რამ გაგაბეღვინა, ჩემდ ლექს რამ მოგაწერია?
ხვარ ფიქრობ, ბულალაური გაუგებარი, შტერია?
რად გავიკვირდა, ძმობილო, ჩემზე საწყალი ბევრია.
მე არასა ვთხოვ იმასა, ვინაც საგზე აქვს ქვევრია.
თავისა ოფლითა ვცხოვრობ, ღუკმა მაქვს გემრიელია.
პირად ლექსობა არ ვიცი, რო ვწერ, ენა მაქვს სველია,
კალამიც გაფხავებული, აღმასზე ასჯერ მჭრელია!
მე და შენ გვიყვარს არაფი, ორივე მაგრა ვართ მსმელია!
იქით მიიწეკვს ჩვენ გული, სადაც ხელადა ჭრელია,
ან ქალი ქერთიანი, პირვარდი, ლერწმის წელია.
არაფის სმაში მოგიხდა შენ საქმე საკვირველია:
ჯამით დალიე ტიალი, სიცხარით დაგწვა ყელია,
ფაში გაგისკდა ტიალი, სიკვდილს ძლივს გადაურჩია.
ნერვაშლილმ, ვაბრაზებულმა, თავში იცემე გურჩია,
თავის კულ ამოგარიღეს, ჩავიდვეს ღორის კულჩია.
იმ დღიდან გელარა სძლები, ბიწა კბილებით დადრია.
არ იცი სირცხვილ-ნამუსი, ფეხზე გკიდია ხათრია.
სამოც ხინკალი ვერ გყოფნის, ორმოცდაათი ანტრია.
ისე კი კაი ბიჭი ხარ, შუაფხოს პირველ კადრია.

კახტანის კასუნი

კარგი ხარ, ბულალაურო, მეორე ვაჟა ფშავისა.
გვასარებ - გაქებთ, გადიდებთ, არც კი გგვონიხარ თავისა.
ლუკაის შემდეგ, ძმობამა, ბადალი არა გყავისა,
შენ, ჩვენო დილო პოეტო, მურქევეო რითმთა ზვავისა!
შენფერი, ბულალაურო, დედას არ გაუზრდავისა,
ჭკვიანო, ზრდილობიანო, ნერვები გაქვის კრავისა.
მე კი ღამწორდი, თუ ძმა ხარ, ნუ ამოშავლებ შავითა.
სიხლეს სო ვერ დაჰბან სისხლითა, კეთილს ვერა შობ ავითა.
შენზე გულს ნუ გამიავებ, როგორც ჭრილობას ხავითა.
გთხოვ, გეხვეწები ძმობასა, მოდი, მოვშველდეო შავითა.
ჭკვაზე დავედო, უგნურო, ვერას წაიღებ დავითა.
შენ თავს პეტად აფასებ. ჰკვირ: ენა მაჭვის რა გრძელი!
ერთ-ორ ლექს დაგიჩსაპნია, ეგ სო არ არის სათქმელი...
თავს კი რუსთველთან ადარებ ცოცხალი, მკვდრებში სათვლელი!
ვინდა ღამფაბნო ფხოველი, მით მოიხვეჭო სახელი?
ჩემგან შორს, თორღ შენც შეეჭამს ოთხმოც ანტირის ჩამთქმელი
ძალად ღორის კუჭს ნუ მიდებ, გულზე ნუ მასობ დანასა,
თორემ ძალღივით დაგაბამ, მაგრად დაუცემ მანასა.¹³
მოგზვლები, გაგანადგურებ, როგორც კალია ყანასა!
იქნება ველარ უმღერდე მაროს, მარიამს, ანასა,
აქამდე ნაპოეტარო, ვერ სცნობდე ანა-ბანასა!
იქნებ ღმერთის სთხოვდე შეველასა, ყელზე იდებდე შანასა,
იგერიებდე ეშმაკთა. იძახდე „ვაგლან-ნანასა“,
ხელში გეჭიროს ნახშირი, ხედ აღირებდე დანასა,
მაშინ კი გამიფრთხილდები, არ იქმ შავისთანასა.
ნეტაე რა ჭირად გავიხდათ ჩემი საწყალი კუჭია?
თქვენი რა შავსვი, შავჭამე, ან სხვას რა გაუფუფუჭეა?
რა ვუყვით, ველარ გაუძლო, აღბათ ბეგრ ჩავაქუჩია...
შენ რა გავიხეთქს, საწყალო, მუცელგაკრულსა ზურგჩია,
სმა-ჭამა, მონელებისა დაკარგული გაქვს ფუნქცია.
მე კი კიდევაც ვინელებ, თუნდა მოვძოვო ქუჩია.

¹³ მანა-მარვილი.

შხამ იყოს, მაინც მოვწურავ, თუ ერთ მოვაბი ტუჩია.
კიდევ მადლობა უფალსა, რო სიკვდილს გადავურჩია.
„მტრისთვის, დახვედრა შამიძლავ, ქვეყანას მისდის ყურჩია.
ბოლიში, კანატიელი,¹⁴ თუ რამ წამამცდა ურჩია.*

ღურა არაბულს

რა უნდა ჩემ ძმა ღურასა, მუცელს რად დამიციინისა?
თუ გასქდა, ისევ გაპფხანთავს,¹⁵ მახათი მედიცინისა.
ჩემთან გაბედა ლექსობა, გული ჰქონია რკინისა.
მე მუცელს თავად მოუვლი, საკითხავ არას ბძეინისა
ჭკვიანად იყოს, უთხარით, საქმე ვაიგოს შინისა.
ალბათა ფიქრობს, დავჯაბნი, ატანა უნდა ჩანისა.
ეგ მძლივ გამოჩნდა გველეთა ბაგრატიონთა ტვინისა.¹⁶
რა გამოვართვი, რასა მთხოვს, გავსილ რად არი სენითა.
ვერცარას მკლავით დაბაკლებ, ვერცარას გრძელი ენითა.
ვარ უძლეველი ძოლექსე, უფალიც მწყალობს ზენითა.
ხვარა გგონია დამშიშავ, წყხავილთა და ღრენითა?
ჩხრეკილით¹⁷ ნაკვებ რას უზამს ნაზარდსა ხინკლის წვენითა?
უფრთხილდით უგემურთასა, თორემ გაგგზავნისთ წყენითა.
ჭკვიანად დაეყარენით, ენას კბილ დაადგენითა.

¹⁴ ნიკო ბულაღაური კანატიაში დაიბადა.

* „ვიდაცას ნიკო ბულაღაურისთვის ლექსი მიუტანია, უთქვამს -- ვახტანგ თვარელაშვილმა გალექსათ. მე მამსნ საავადმყოფოში ვიწვექი, კუჭი გამისკდა მთაში. ნიკო ბულაღაურმა ლექსი გამომიგზავნა, მერე მეც ვალექსე“. ვახტანგ თვარელაშვილი.

¹⁵ უბრალოდ გაჰყვრავს.

¹⁶ მოწმადელი და გველეთელი არაბულები თავს ბაგრატიონთა შთამომავლებად თვლიან.

¹⁷ ნაღვრდაღზე გამომცხვარი, ნახევრად დამწვარი პური.

**ვახტანგ თვარქალაშვილს
გიორგი ელიზბარაშვილისაგან**

მზე ჩაესვენა მთის კედეს, ბუნებას მწუხრი ეფარა,
ნადიმად იჯდა ვახტანგი, ხინკალ-ხინკალზე ეყარა,
ემპორტულ სასმელსა სვამდა, სიმთვრალე შემოეპარა,
სიბნელე ნაზა ქუჩაში, ადგა და გამოეფარა.
სტუქმრებს კვალდაკვალ მიჰყვება, ჯიბეში ბოთლებ ეჩარა.
იწსრის დაზეზებული წინ დევი შემოეყარა.
სილა ჰკრა ხადის ყურზედა, ვახტანგი გადაეფარა.
წყალს კი არ წავადებინეთ, ფენი კი შემოეხარა.
ორ კვირას ლოგინში იწვა, კინაღ სულ ამეპარა.
აქ თავმჯდომარე ჯავრობდა, ვახტანგ სად არის ნეტარა?
მაგას იმეღზე დაეტოვო, საბჭოს კარ გამოეჯარა.
კაცისფერ კაციმც მანგენა, სამდივნო გადაეპარა,
ეგ კი მანდეღან გაძეგლო, ძალღივით გამაშეთარა,
ან ერო თაური შეგლიჯა, ჯავრ იმით ამამეყარა!¹⁸

**გიორგი ელიზბარაშვილს
ვახტანგ თვარქალაშვილისაგან**

ბებოქალიშვილმ დამჯაბნა, ლამის დამადვას ბეგარა,
მაგისგან დამინებული რითმს რითმზე ვაწყობ ვეღარა.
სად იყო აქამდისინა, რა მოღვევის ქვა ეფარა,
ეგეოა სიტყვის მჭედელსა ენა რა ნაწში ეჩარა?!
ამიგდო თავგათავითა, ნელ-ნელა შამამეპარა.
მაგას დავურჩენ ეშმაკთა, - მე თუ დევ შამამეყარა.
ახ, იანვარში მოვტყუვდი, გომურის კარზე მეშარა!
მაგისი ცხვარი და ძროხა - სულ გარეთ გამამეყარა;
არ გაძეწირა ჭლიკბული, ბერაში გამამეტარა,
ბლომად დაზღვევა მეტყლიშა, და მეწრუწუნა მკვეხარა;
ჩაძეგლო განსაცდელშია ეგ წუნტი, ნაცარქექარა.

¹⁸ ჩლიქოსანი პირეტყვი.

გიორგი ელიზბარაშვილი პახტანო თვარელაშვილს

ცუდის სათქმელად, ვახტანგო, არა ხარ გასაქმერები.
მაღლექებ, მენაც გაღლექებ, ან რაად მოგეფერები?
გამოხვალ იენებაზედა, კოლიას გაითელები.
სუ მუღამ დაეითივითა¹⁹ ჯიბეში გიწყვავ ხელები.
ცოლ გექებს, ამბობს: - სად არის ეგ უკუღმ დასაბერები?
ზაფხულში ჭიქებთან არი, გრილოში უწყვავ ცელები.
ზამთარში ნეკრის ზიდვითა ცოლ-შვილთა დაგვწყვიტა წელები.
მე გნახე ჩემის თვალითა, - ნათქოშს არ დავიჯერებდი, -
ხელით მოხვეტენ შალვარნი, ჩაფსმულნი, ჩანასველები.

გიორგი ელიზბარაშვილს პახტანო თვარელაშვილისაკან

არ ვიცი შენი ამბავი, მათურასა ხარ, ძორადა.
ხომ სცნობ, რაც არის ქვეყანა, ერთსა აქცევენ ორადა.
შენთანამც შემომაფრინა, გადამაქცია ქორადა,
არვის რას დაეუჯერებდი, თვითონ გნახავდი სწორადა.
შიმშილით საქონ გაუწყდა, ისე გავიგე ჭორადა.
ემ ზაფხულს შუაფხოში ხარ, ამღებ არა ხარ ცელისა.
რას გასთბავდი შემყურე დანის და მაკრატელისა?
მოგინდა ნეკრის მომტვრევა, კლდეშა მოგლეჯა ლელისა.
რა ბილეთს გინდა აღება, მეხანძრევ გაბრეილისა.
ღამის გაგიწყდეს ცხვარ-ძროხა, ვახშამ არ დაგრჩეს მგელისა.
ბურდულის დიაცს მისვლიხარ გასამართავად ხელისა,
გახდალხარ ანაბარასა ყრუ-მუნჯი მეზობელისა.
სულ შენ რადა ხარ ჩამდენი საქმისა სამაგელისა?!
სირცხვილის ჭამას გირჩვენავ ყელზე ჩადება წნელისა.
ობოლ-ქვრივთ თივის მიხონენლსა მოწყვეტა გინდა წელისა.
ძალზე მადანე მოსულხარ, ცუდ რომ დაგეცა ზამთარი;

¹⁹ იგულისხმება დავით ქიანაშვილი, მაშინდელი საბჭოს თავმჯდომარე.

შენ სულ ხინკალი გიჭამავ, შენ ძაღლს - თეთრ ფეკილის საყარი.
ძალიან ბენავ კაცი ხარ, შენ კი დაგიწვი ჟამ-კარი!
გაგთავებია დაფქული, სულ დაგიცლია ამბარი.
დაგიშიშმილდა ჯვალაფნი, არა აქვთ სადილ-სამხარი.
ეხლა დადისარ ფეკილობა, გამაიტანე გზა-კარი.
მათურის ჭვალას უფროთხილდი, არსად დაგეცეს ნაქარი,
ხელით არ გამოგვეცადლო, არ დაინგრიო სახლ-კარი.

ვასტანზ თვარაშვილს ბიორბი ელიზბარაშვილისგან

წამოხველ მათურაშია პირუტყვის აღწერაზედა.
იფიქრე, ძაღლე ვეცადო, დღისით ხალს დამემ ეღება.
ღამით იარენ კლდე-კარნა, მაძიხვედ თენებაზედა.
თავ არსად ვაგიბრუნებავ, თოფით მოჰიხდი კარზედა.
შაძასე, ვარეთ გამოდი, მოვსულვარ მუქარაზედა.
გამიდე ბოსლის კარები, - საქონ დავოვალო თავზედა.
ძაღლო, ჩაგიგდე ხელადა, ეხლა მოგიყვან ჭკვაზედა!
აქ ვერა გწვდებით მთავრობა, შორსა ხართ გრანიცაზედა.
ამ სოფლის გასაბჭოება ჩემს მეტმ ვერავინ გაბედა...
ჯერ ცეცხლი უნდა გამეხსნა, თოფ რომ გეკიდა მხარზედა.
ვიმარჯვე პატრონტაშები, ხანჯარ მოვსინჯე ფხაზედა.
მერე ვთქვი: „მაგათ კაცია, მთავრობა გამოიჯავრდება.
კმაგას კაცად ჩაივლან, დასჯიან მკვლელობაზედა.
თავის კარებზე მოსულსა ძაღლს არენ გაუჯავრდება
იქნებ არ არის სამტროდა, საქმეს ხომ უნდა გაგება.“
გითხარ: - შუაფხოს ვერ ჩაზევალ, შორია, დაგიღამდება.
ნათქობ ხომ ვაგივონია, კოკა წყლის გზაზე ვატყელება.
არ გახდე შემშაკოდა დამდგარი იმით გზაზედა.
დავიდგენ ტაბურეტკანი, მოდი, ჩამოჯე სკამზედა.
ვიუბნოთ, პურა შევჭამოთ, საკლავს დაგიკლავ წამზედა.
შენ საწერ-კალამ გამიხსენ, „აჩკებ“, მიიკარ თვალზედა
დასწერე ერთი ორადა მოსულმა გულის ჯავრზედა.
რვაას მანეთით დამბეგრე, რას შვრები, ძღუპავ რაზედა!..

სულ ყველა გამაყიდვინე, ქვა აღარ დადგა ქვაზედა.
 დაზღვევა ჩამომაწერე, ფიცს გაძლეე პირობაზედა.
 ალალი იყოს შენთვისა, დაჭდეულ რომ აქვს რქაზედა.²⁰
 რომ გაიგონე ეს სიტყვა, შემოსტრიადლი ხელადა,
 სულ დაგავიწყდა, თუ იყავ პირუტყვის დასათელელადა.
 შემპირდი, საქმეს ჰაგიწყობ, გაგიშვას ტყისა მცველადა.
 „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“, - ნაოქვამი არის ძველადა:
 ცოტა რაღაცა მჭირდება, საქმეს გაეაწყობ ხელადა,
 ხუთის წლის მოხვერ გეყოფა, მიმართვის დასახსნელადა.
 - ხბოსაც აღარა მჯერდებით, ხარსა მთხოვთ შესაბამელადა.
 მთელ ფშავ რომ შეიარაღდეს, ტყეების მისაჭრელადა,
 ტყე რომ სულ გასჭრან, გაკაფონ, აღარ გაწირონ წნელადა,
 მოთხარონ ფესვიანადა, გადააქციონ ველადა,
 ხუთია წლის მოხვერს ეერ გავზდი, ძაღლების საჯიჯგნელადა.
 თქვენთვის მოსაცემ რა მაქვის, რა სარჩო მიბე ძველადა.
 „ტელეგრეიკა“ არა მაქვს ტვირთობა ჩასაცემელადა, -
 მარტო ეს ლექსი შემომრჩა თქვენდ ქრთამში მოსართმელადა.

**გიორგი ელიზბარაშვილს
 ვახტანგ თვარელაშვილისაკენ**

ორი თვე გახდა, დასდიხარ ჯორების საყიდავად,
 მაგათ რა ჩემ ყ...ს აკვიდერ, ან შენ რას იზამ თავადა?!
 სახლში ფეკილის მტვერ არა გაქვს, მარცვალ დასაფეკვადა;
 კარზე შეშის ხე არ გიგდავ, ბუნარში შესართავადა;
 მგონი, საფეჩედ დაჭხერზე, სახლზე რო გეწყვა კავადა.
 ჯალაფთ სიცივე გაგიწყვეტს, საქმე მოგივა შავადა.
 შენ ცოლ დღემუდამ ჩვენსა ზის შენ ამბის საკითხავადა,
 ვეღარ ვიშორებ აქითა, გაგვისხდა საკვებავადა.
 სადა ხარ, რომელ მხარესა? მოგვენატრდი სანახავადა.
 ზოგთა თქვენს: მართას მისვლია ტარების სამართავადა;
 ზოგთა თქვენს: ხორხში წავიდა ცოლისდის დასაკრავადა...

²⁰ იგულისხმება ქრთამში მისაცემი ტყელია.

შეგსრულებიყოს წადილი, გაგზადოს ასისთავადა!
 ზოგთა თქვეს: მოსკოვს გაფრინდა კუჭის წყლულთ საკურნავადა;
 ზოგნ ვამბობთ: თბილისს იქნება ლექსების სასტამბავადა;
 ზოგთა თქვეს: მენეთს წავიდა მოლასთან სალოცავადა.
 ზირხალასავით მოგივა - გზაში გახდები ავადა,
 დარჩები სამოხელისა უცხოთა სამარხავადა.
 მათურას ვინდა შადგება შენ მძორთა საზიდავადა?!
 ჯორის ტყავს წავაფარებენ კუბოზე მოსართავადა;
 ვირის გაღს ჩაგიყუდებენ თავით ჯვრის გასაკრავადა;
 შაგიღვეს ძაღლის ხაშლაძა, ციცას ფილტვები ფლავადა.
 ნაქნარი დარუჯანისა მოგხმარდეს საწირავადა,
 თადიურის იახმა - ყვავილთა მოსარწყავადა,
 პეტრეს ჩამოქნილ სანთელი - შავეთს გზის სანათავადა,
 სოფლის გაძირებული - უღვაშის საპიხავადა.
 ნაწნავი დუცის²¹ მხარისა პირს გედვას საღეჭავადა.
 ღმერთო, ნუ გახდი კარგ ყმასა ავი ხმის დასაძრავადა.
 როგორ იქმნებებს ყორანი მაგის ძვალთ დასახრავადა?!
 ეხლა კი აღარ გაგიშვებ, შორს წახველ ნამეტნავადა.

ვასტანო თვარელაშვილს გიორგი ელიზბარაშვილისგან

მოსისხდე მტერი მყოფილხარ, მე ვთვლიდი ჩაოქსავადა,
 რად გამიმეტე, ვასტანო, შავეთში წასავადა?
 მე იე უშენოდ ვერ გავძლებ, წამოდი სანახავადა!
 ე ბარგ ხო დავიმხადებაც ჯორაით საზიდავადა,
 აღბოთ, გავახე დააკრავ, როგორ აპკიდებ ცადადა,
 ან კუდის ძირში შაუდეგ საძუის მოსართავადა.
 სუფრა, ჩემ დამხადებული, გამეტებული ფლავადა,
 საიქითში რო მოხვალ, იქ დავჭირდება თავადა,
 იქნებ ფაშ-ნაწლევენ გერჩივნენ დიეტის დასაცავადა!
 ოხერ ტეტია მოგივა ვირით წყლის საზიდავადა;

²¹ დუცი ველური მცენარეა, ხარობს მოაში.

გოგი ხევისბერ გექნება საკლავის დასაკლავადა;
ქოთანა შანდობას გეტყვის, დამჯდარი საკუნტავადა.
აღლაშდაც მოგეხმარება, ნუ მოგეჩვენოს ავადა!
ქორწილში წასვლა მილექსე, გარმონის დასაკრავადა.
გირჩეინავ ეგეთ ყოფნასა, შენ რო ხარ საცოდავადა...
იასხარმ შამოგისია დეგები სალანტავადა,
დაგლანტეს, დარჩი კიდეცა მოხრილი ორი-სამადა.
მძღვისლა დაათრევ ნიფსავთა, გამოძწურვილთა შავადა.
კიდეცა უარეს გიყვან, მოგყვენ სამარის კარადა! –
უფლება აღარა გქონდეს ენა-ყბის ასამრავადა.
ლექსზე კი ბოდიშს მოგიხდი, დიდხან თუ დამრჩა ვალადა.

პიორგი კლიზბარაშვილს პახტანზ თვარელაშვილისაკან

შენც ავადა ხარ, გაგიგე, აგჭკიებია გულია.
წარლიც გაგთავებია, კუჭისაც გიტყვს წყლულია.
თქვეს: ლოგინთ ჩავარდნილია, სულით ებრძვის განწირულია,
დეგებ მოგვშორდეს შენ თავი, ამოგხდეს ძაღლის სულია!
დეგება ოხრად დაგირჩეს სანერგე გამარგლულია,
ჟანგმ შავიჭამოს რუსული - სამ დღეს რომ ლესე ცულია,
ჩაგშხამდეს უბილეთოდა ბერ მკვდართად წართმულ ფულია.
სელ გაავლე ხატის ტყე, ნინახთად შამორტყვილია.
ერთ თვეს ამზადე მარგილი, პირმზითმა მუქის გულია,
ისიც მოვტაცა არაგემა, დიდ ჭაღას დამზადულია.
თედომ და ლექსომ ვახიდეს, ორწყალთაც გარიყულია.
იასხარმ ” გაგირასოტა ” ის შენივის მოციხხულია.
დეგება კიდე ჩაგაჭკნოს, როგორც სველ ნაბდის ჩულია,
გაწამოს წენის შემლაზი, რჯულ-ადათ გაყიდულია.
ხელით გვერდ საქცევ გაგხადოს, ლოგინთ მოჰკიდო წყლულია.
ხსნას ნულარ ელი ხვთისგანა, განაჩენ გამოსულია.
დეგებ მუხლისკვრით გაბობლოს, ყელზე წნელ ჩამობმულია,
გამყოფოს ენა ჩაბმული, პირს ლაგამ ამოკრულია.
გეფანტებოდეს სოღაი, პარკაში გამოკრულია.

გულში იძახდე იმასა: „სულითამცა ვარ კრულია!“
შენ ექთან არაად გინდა, ვერვინ არს შენი მშველია,
ტყუილადა გაქვს იმელი, მოჰკვდები, უეჭველია.
არც გელირება საფლავი, სულარა ჩასაცმელია,
გადმოგაგდებენ ნესეჩია, ჭალაში ჩაგთრის მელია.
მოგაფსამს თადიაური: „მოგვშორდა სამაგელია!
ვერა ძღებოდა თივითა, ეხლა იქნიოს ცელია.
ნუ დაძრჩა გაღმა-გამოღმა სათიბი, ჭალა, ველია.“

გიორგი კლიზბარაშვილს

ან შენ რის გამკეთები ხარ ზამთრის მწვედუელსა დროშია?
სახლიდან მამის წამოხვად, როცა შენა გაქვს ხოშია.
სამ დღეს მუქოში დარჩები, ერთ კვირას - შუაფხოშია.
ჯალაფთად არ გაქვს საჭმელი, პირუტყვთად - თივა, როშია.
ხან სად მისჩნდები, ხან-სადა, დაწრწიხარ, როგორც გოშია.
ჭაბაში ჩაგეძინება, გენაცვლე მაღა-შნიშია!
ან კი რა არის საჩქარო პატარა საწუთროშია?
დაეძებ სამსახურებსა, გამოგლეგია გროშია.
არაფრის გამკეთებელი, მიგიფსი საამქროშია.
ხელოსანი ხარ მაგარი, შორს გაჰქუხს შენი სახელი,
სახმესა, შენსა ნაკოსა, გაჰკვირვებია მნახველი.
იქ ფეიქარის ნიფხავი²² და მანდ შენ გომურ-საბძელი.
ვეღარც ტყის მცველად ვასდიხარ, საქმეს არ ადგა საშველი.
წინ ვერ გადასდვი ნაბიჯი, მესანძრედ იყავ სამ წელი.
ქრთამად ეგვეანას შასტენე ზუთმეტი ფურის ნაწველი.
დაიწვას შენი კაცობა, ხარ სუფთა ძროხის ნაკელი!
პაპას არაში ჰგევიხარ, მას კი ღმერთმ მისცას ნათელი.
მკვდარსა ჰგევიხარ ცოცხალი, რად გინდა სარკმელ-სანთელი.
ჩამოდი, აქა გვჭირდება უბორნიების დამგველი.

²² იგულისხმება ანდაზა: ფეიქარს ნიფხავი ენატრებოდაო.

1977 წლის ზამთარში დიდი თოვლი მოვიდა. ვახტანგ თვარე-
ლაშვილს საქონლის საკვები შემოაკლდა. ამიტომ გიორგი ელიზბა-
რაშვილმა იგი გააღუქსა და თან ისიც დაუყოლა, რომ არფრის
გამკეთებელი ხარ, სულ გძინავს და ქეიფობო. თურმე თვითონ გი-
ორგისაც არ ჰქონდა ზამთრის მარაგი. ვახტანგმა ეს პასუხი დაუბ-
რუნა.

**გიორგი ელიზბარაშვილს
ვახტანგ თვარელაშვილისგან**

შენ, ჩვენო პარიკმახერო, პატრონო დიდი ნიჭისა,
უბადლო სპეციალისტო, დანებიც მაგრა გიჭრისა!
იმის შემოკვრეცა ვერ იცი, ვერც შესწორება კისრისა.
აიღებ, რაც არ გვკუთვნის. მომთხოვენ ვინ არის ნიხრისა?
ეგ შენი სადალაქოცა ლიბო-კედლებით იძვრისა,
უფრო კი დღხანს გასძლებდა, რო აეშენათ ფიცრისა.

სოფელ შუაფხოში ააშენეს საპარიკმახერო, რომელიც აშენე-
ბიდანვე დანგრევაზე იყო მისული. ხელსაწყოები პარიკმახერისა
იყო ძველი და გამოუსადეგარი. აქ დაიწყო პარიკმახერად მუშაობა
გიორგი ელიზბარაშვილმა.

**გიორგი ელიზბარაშვილს
ვახტანგ თვარელაშვილისგან**

გადავირე გკვიდანა. ამავ რომ მოთხრეს სახარი.
გამოგქცევია დიაცი, ოხრად დავირჩა სახლ-კარი.
იარე სამძებნელადა, სულ სოიარე მია- ხარი.
იპოვნე ქალაქ ღუშეთსა, სუდიის კარზე დამდგარი.
გიბარებს თუთრუაშვილი, მტრის კართ შენ გადანაყარი!
არ გადარჩები მეტეხსა, შეჩეჩვა ვინდა მაგარი.
იქ ყველას გათქმეინებენ, რაც სიყროლე გაქვს ნაქნარი.
როცა მოგხვდება „დრუჩოკი“. ხორცთ დაგეტყობა ნალარი.

არც დაგჭირდება სოღაი, გავივლის კუჭის კატარი.
უნდა გაპყილო ცხვარ-ძროხა, თავის იორღა საღარი,
გარმონი რგასიანი, ვერცხლიან ქამარ-ხანჯალი,
ანღა გაიქცა ტყეშია, ტანზე აისხა აბჯარი,
ან ღიაცს უყარაულო, აჰკვეთო თაფლის მაჭარი.
არ ენღო გიგით ღავითსა, ქალებში უყვარს ფანფარი,
არც ემა ნიბღათ პეტრესა, ხასიათი აქვ წამღდარი.
ხეგისბერ იშტაზე მოღის, ზვარაის ღეშით²³ გამღდარი,
ფეხებზე ჰკიღავ სირცხვილი, მთავარ ანგეღოზ, ღაშარი.

გიორგი ელიზბარაშვილს პახტანზ თვარელაშვილისაგან

მაღ წიაღა გწღღიან, ქრთამსა ჰპირღები კოღასა,
ბუფეტსაც გაღაიბარებ, როცა გავიღი სკოღასა.
თავის კღღრი სჯობ, მღობაშა, სხვა თემის კაცის ყოღასა,
იმასთან ჭიღაობასა, მუღამ ხმალ-თოფით ბრღიოღასა.
ჯიღეშა ნაღღი გერწიწნოს ცხვრისა და ძროხის ყოღასა,
თბიღი საბანი სჯობია თეღ-არხაჯზე წოღასა.
ხეღღახელ გაგვიმღიდრღები, ფუღლებს დაუწყებ სროღასა.
როცა რევიზორ მოგეღა, ძვალ-ზორცთ მოგკიღებს ყრყოღასა.
გავიღიღიან სახლ-კარსა, წავართემენ ნაზიბროღასა.
ციმბირში გავასახღებენ, საქმესა იქამ ყროღასა.
რომ ჰკიოხზვენ შენებ ბაღღებსა: - მამა სღღა გეღვი? - მოღღასა!

გიორგი ელიზბარაშვილს პახტანზ თვარელაშვილისაგან

ფრთხიღად იეღვი გიორგი, კარს გაუყარე ურღული,
თორღ მაგ შენსა ღიაცსა დაჰპატრონღება ბურღული.²⁴
ვეღარას ვიშვეღს ხმღის ქნეღა, ვეღარც თოფი და შურღული,
ერთურთს რო ჩაენვეღიან იაღონი და ბუღბუღი.

²³ ზვარა – პირველმოგებუღი ხბო, რომეღივც ხატს უნღა შეეწიროს.

²⁴ გიორგის მეზობეღი გიორგი ბურღული.

* * *

ბენავო ბებოქლიშვილო, შენთვის ძალიან ბნელიაო.
გამოგქცევია დიაცი, დასდინარ საძებნელიაო.
ეგება ძალე მაჰხელი, ვინც სარჩო დაგიძველაო.
მოჯამაგირეც მანდა გყავ, თუ დაგჭირდება შეველაო.
ერთ კაცობაზე შენც იყავ, პური არ გაკლდა ხმელაო,
ეხლა ერთ ძროხაც არა გყავ, რა ჩემ ყ... ს ჩამასწველაო?!

შინვალის კვირ ალიკას

ათ ეჭთან გემსახურება, შენ მარტოკა ხარ, ალეო.
იქნება ათზე მეტნია, კარგად ვერ გამოვთვალეო.
ერთ მამალ მაგდენ დედლებში?- სულ ჭკვიდან შავიშალეო!
მაგათ თუ დაგიბეჩავეს, გამოგიწერენ მალეო.
ცოტა ამყად მაიქცე, წელშიაც გაიშალეო.
მოდი, ერთ ეჭთან ქალაი დიაცში გამოცვალეო.
არ დავაბრუნებ დიდხანა, გამოგიგზავნი მალეო.
აი, ამ ლექსის მიზეზი თავისთავს დააბრალეო!
ხუთ ნომერში რომ შამაგდე, ბნელაში გამაწვალეო,
ერთი მოხუცი ფშაველი ოდნავ არ შაიწყალეო.
იქნებ იმასაც ამბობდი: „მომშორდეს, მოკვდეს მალეო!“
სიცვივც ვერა დამაკლო, სულ ლექსად დავიცვალეო.
მე ამ ლექსს ამით კანთავრებ, ზიჯს კიდევ მოგწერ ზვალეო,
თანაც მოგიზნდი ბოლიშსა, აქ თუ რამ წავაჩყრალეო.

კახტანბ თვარელაშვილს მიხეილ ჭინჭარაშვილისაგან

ლექსებს ვედარ სწერს მდივანი, დედა ეტირა ვახოსა!
ისე აქვს საქმე გამხდარი, დუშმანმ არ უნდა ნახოსა.
ფშავლებ საკაცით ითრევენ შუაფხოსა და ახოსა,
ოყნას ზაირა უკეთებს, კი არა ჩაუსახოსა...

ახალ სატკივარ გაუჩნდა, ივაშოს, ივახვახოსა!
შინ მისულს თავის დიაცი არ იკარებდა ახლოსა,
თავ-თმას სიმწრისგან იგლეჯდას, მეზობლებს დაუძახოსა.
მოვიდეს თავქვედლომარეი და მდივანს გაუჩმახოსა.

**მიხეილ ჭინჭარაულს
ვახტანგ თვარქელაშვილსგან**

ხვესურთ სათრეველად გამხდარხარ, ახ, ვახო, დედას მტრისასა!²⁵
მაძაკვლავ გზაში მიბოვნეთ, ჩასვლას ველოდი მზისასა.
მაყვედრებთ დახმარებასა, საწყენს რად იტყვით ხეთისასა?
ოც მებრზე გადამიყვანეთ, ხო არა მზიდეთ მთისასა.
კაცო, ფუღს მოვცემთ ჭირასა მაგ თქვენი „ნასაღესასა“.
ამ საყინულეს მირჩენავ დერეფანს ვეგლო სხვისასა.
ნახშირიც ვაგთავებიათ, ველარც გალს ზიდავი ხისასა.
სულ დამწრალი მაქვს ხელ-ფეხი, განაძლებს ვიდლებ ტყვისასა.
ჩემს უარესად აცხრუებს ამ ჩემ ამზანავ ფისასა.
ცხრა აღიელას ვიხურავ, მაინც ჭირხლს მადებს ცისასა.
შენ გული გულში იცინი: „ეგრ-უ მონაის ზნისასა!“²⁶
ამბობ, ისეთ დღეს დაეაწევე, გზას ვერ ხედავდეს ხსნისასა.
დეგებ ეზლა კი გადარჩეთ, იძვდს ვარ იახსრისასა.²⁷
სხვა დროს აქ რაღა მამიყვანს, გავიძლებ ხე და ქვისასა.
რის ბარისახო, ძაუგში გადავალ ქვეთა მოისასა!

19/02-1986 წ.

²⁵ ვახტანგი ბარისახოს სააკადემიოლოშიც იწვა.

²⁶ „ეგრე უნდა ცუდი ზნისასო“.

²⁷ იახსარი ვახტანგის სათემო სალოცავია.

ნიკო ქორაშვილს

ქორაშვილ ნიკო იბახდა, ტყეც ჩემია და ველიცა,
ყველა ჩემ დარგულება - ფიჭვ, ცაცხვი, თხილის წნელიცა.
ტყეში რაც არის ჩემია - ხე, დამპალიცა, სმელიცა,
შუქ-ტყელფონის ბოძები, ახალიცა და ძველიცა.
მე სულ ფეხებზე მკიდია გოვიც და გაბრიელიცა,²⁸
იჯარით უნდა ავილო ტყეში დათვიც და შველიცა.
ვამრავლო ფლორა, ფაუნა, ნუკრიც ბეკრ იყოს, ბელიცა.
ჩემია, ჩემი, იცოდეთ, მთელი ქვეყანა, მთელი ცა.
ფხოვიც ქრიათი ყოფილა და სამას არაგველიცა.
ვარსკვლავებს ჩამოვიღებდი, მიმიწვდებოდეს ხელიმცა.
მოყვარული ვარ ფულისა, ახ მამცა საბეჭდელიმცა!...
ჭაშის მადა მატქს მაგარი, ვერა მჯობს ერთი მგელიცა.
ისეც მკლავმაგარ კაცი ვარ, ნამგალიც მიჭრის, ცელიცა.
არავის მათხოვარი ვარ. პურიც შინა მატქს, ყველიცა.
ყველა ფეხებზე მკიდია, მომღურავ-მადლიერიცა.

კვლავ ნიკო ქორაშვილს

უშენოდ ქორწილ არ ვარგა, არც იმარხება მკვლარია,
თუ შენ არ შასდევ სახელი, მიწა არ მიაყარია.
როგორც ხევისბრის წესია, ცოტა არ წაამთქნარია.
შენ არ მახარმე ხაშლამა, ქობი თუ არ წყევსარია.
იესები სიბრალუდითა, ცრემლი გდის, როგორც ღვარია,
ეჰ, თუ შენ არა ჰყევიხარ, არ სოფლობს ნასოფლარია!
ერთხელ წინ კოჭლი კურდღელი, ფარის წინ კოჭლი ცხვარია.
ისე ვერ გასძლებ, ნიკუშჯან, სწორს თუ არ მიეხმარია,
ზოგ ნიფხვის უბეში ჩასდევ, ზოგ პარკში ჩაიქარია.
ართუ ვიჯავრობს დიაცი, რო მიგატქს ნაქურდალია.
ავისგორს ხევისბერები რამდენჯერ გაამწარია,
ხატისხვევაში გაგქონდა, კურკიტის თავი, მხარია.

²⁸ სატყეო უბნის უფროსები.

უშენოდ ფერხისა არ ღირს, ხმა ვიბე, როგორც ზარია,
 შენ რო ფერხისას შამღერნებ, ხმას გაძღვეს იახსარია,
 შენ რომ შამღერნებ ფშაურსა, დაიძვრის მთა და ბარია!...
 ჯაბანთით ასატრინაი რარიგად გააფარია,
 იფიქრე, არვინ მასძებნის, ზედ შეშა წააფარია.
 საყოფაცხოვრო ბინასა შენ შახსენ რკინის კარია,
 არა ხარ აზბავ საკითხი, არც გზაში შახსაყარია.
 ვერეც ხელშკადრე კაცი ხარ, თან სოფლის თავში მდგანია.
 თორთ მაგ თხილიანასა სულ წაიღებდა ღვარია.
 ხატ ხევისბრადაც მივიღებს, თუ მარანს დააფარია.
 თვარულათ საქონმ გაიღო ბიჭურის ბინა-კარია.
 ხევისბრის ეზოც მოღობეობოლ-ქვრცს მიეხმარია.
 გაიბე, გამოვივალის ოროლ დიდრონი სარია,
 შე რომ ასოცად მასყიდდი, იმას ცეცხლ შაყარია.
 მიიდა სერტყვა, დახვდა ქვა, ეს ლექსიც ჩაიბარია.

2000 წ.

**პახტანვ თვარელაშვილგა აღქმსა შუაფსოელი
ნიკო, რომელიც ხევისურს წარსუბებია:**

რამ შაგაბრძოლა ხევსურსა, გიგოს, მაგ ვანიერასა.
 ერთსა ვტყელეშს ახოგაბრუნებს, ქვეშით დაუწყებ ცქრასა.
 ისე გაგბურდღნის, ბეჩაგო, როგორც არწივი ძეჩრასა.
 ვემო ზე „აბოგაბალაჩავს“. გაგაღენს ნაბუფრასა.
 ფშაველ რას უქმს ხევსურსა?! - გეტყვი და არა გვეერავსა.
 ეგ რო ერთ კაწარს გაგისოშს, აფთარივითა სერავსა!
 სირცხვილის ჭამას ვერჩიენა, ბნელსა შჯღარიფავ ვერასა.
 მალე გაგიღის, მობამა, ერო-ორ მუშტ ვიჭამს ვერასა.

ნიკო, მოხელე საქმესა

ნიკო, მოხელე საქმესა, რა სული დაამწარია,
ერთ კვირა არის გასული, ჩვენთან შუქ აღარ არია.
უნდა კიდევაც აკეოთ, თუ საქმე ჩაიბარია.
მოსწილ-მონგრეულ „კაოსკსა“ საშველი დააყარია.
გიჩივლებ დუდაურთანა, საწყინოს მეტყვის მხარია,
თავს არ აჰკიდო, იცოდე, ხათაბალა და შარია.

ნიკო ქონაშვილი სოფელ თხილიანას მკვიდრია. თხილიანა შუაფსოდან ერთი კილომეტრითაა დაშორებული. ნიკო ელექტრო-მონტიორია. შუაფსოელებს არ ჰქონდათ შუქი. ვ. თვარელაშვილს მიუწერია წერილი ლექსად. თან დაეშუქრა: შუქი დროზე გააკეთე, თორემ დუდაურთან (ნიკოს უფროსთან) გიჩივლებო.

ჩემს ახალ თავგადასავლად დავით ქოჩაშვილს

ახალ ტელეფონ დაგიდგეს, ხელთ იგდე ბეჭედ-შტემპელი.
ზომ აგისრულდა მიზანი, ათასჯერ ნაოცნებელი.
არცარა კაცი შენა ხარ, დაიწვას შენი მქებელი!
მე შენი ამომრჩეველი, საბჭოში შამამგდებელი!...
ჩემს ჭირად შემოგაძვრინეს, გამიხდი სახენრებელი.
ღიაც საბჭოდან გაიგდე, დანიშნე მეზობელია.
გამოხველ წაღხის ერთგული, თბოლ-ქვრივების მსახელია.
საქმე ჰქენ სამართლიანი, ეგ უფრო მარტოხელია.
ბრძანება გააშანშალე, არ გქონდა საფუძველია.
ეხლა ძლივს ამოიყარე, ჯავრი რომ გქონდა ძველია.
ვერ მოიხვენებ, ვეტყობა, მეც თუ არ მაძინელება.
მთელ ღამეს ძილი არ მძინავს, დღე-მუდამ მოხსნას ველია.
კაცი ხარ ეღვარდაისი, შენგან არც საკვირველია.
გენოთირები თვალშია, ამბობ: არ ვარგა, მსმელია!
არც კი შენ დამივარდები, ჭიქას თუ მაჰკარ ხელია.
მე და შენ ერთად ვერა ვძოვთ, ვითარცა თხა და მგელია.

თქმულა: კაცი არს შიგნითა და გველი გარეთ ჭრელია.
სჯობს, საქმეს ხელი მაჰკილო, საქმე გვაქვს დაუთვლელია;
ერთ ხიდ ვერ გავიკეთებავ არაგვზე გასასვლელია,
ვერ ჩაგვიდგია ჯებირი, ჭერიც გვაქვს დასაკვრელია.
ჩვენ აშენებულ ფშავ ღავწვი, ორნივ ვართ გასაყრელია.
საბჭოც ქვრივებით გაავსე, მათ ცოდვით ვიწვი, ძმობასა.
დასხდებით საჭორაოდა, ვახტანგს დაუწყებთ გმობასა.
შენ უმდიფნობას უჩივი, ეგენი უქმარობასა.
სხვა მეტი საქმე არა გაქვთ, ვაი თქვენს უქმარობასა!
ფუჰ, საქმეს თქვენგან ნაკეთსა. უჯიშო, უგვარობასა!
ნურაფერს მიწყენთ ლექსისთვის, წელიც ნაკი გვაქვს წლეული.
ნუ იტყვიოთ: ჩვენი მდივანი გიფია, გადარეული.
რა ვქნა, რომ მუზა მაწვება, „ტორმუზ“ ვერ იტერს წყეული.
აღარც ვინა მყავს მეტოქე. კაფიას რომ ვარ ჩყეული.

1973 წ.

ისევ ღავით ქოჩაშვილს

მოდი, მოხედე, დავითო, საბჭო გვაქვს დაკეტილია.
ჩავარდა შენი მდივანი, ფეხი აქვს მოწყვეტილია.
ის მაინც გამაგებინე, სათიბს როდემდე ივლია.
აღბათ, ერთს აღარ გაჰბადებ, სანამ მთაში დგას წბილია.
ოც კირჩხასა სთიბ დღეშია. ცელიც ვაქვს გაღასილია.
რას გააკეთებს ჩემ ფერი, ვისაც ბევრ უყვარს ძილია.
სანამ მე წავალ სათიბსა, გეჭნება ჩამოთრადია.
შენგან მალექსებს წყეული ბებოქალაის შვილია,
ზამთრის ჯერ მოიმარაგა, მთელ საფხულს ზიდრა ფქვილია.
თივაც გათიბა სამასი, ბაღბა, იონჯა რბილია.
ორ საუენ შუშაც მოზიდა, ერთ არ გაჰბადა თხილია.
ჩვენ ხომ გვეგონა ბეჩავი, ყოფილა გაქეტილია.
არაფით სავსე ქვევრი აქვს, სამ წლის წინ გამოხდილია.
სულ მუდამ მებატიყება - სვაროდეს შამაილია.

**მურადი ლომაშვილს
(მუშაობდა შუაზსოვში დაგამოზადებლად)**

ბიბის კაცო, მურადა, ვახო ერთს გეტყვის მმურადა:
ღაიმსახურე სახელი, მაიქეც ვაფკაცურადა.
ისეთს ნუ იქამ საქმესა, ჩავარდეს ხალხის ეურადა,
სასწორზე შემდგარ კამეჩი, გეჩვენოს ინდაურადა.
შენგან ნაკეთნი საქმენი, არ დარჩეს დასაძღურადა,
არ მაინათლო ცუდ კაცად, მახაურ-წიკლაურადა,²⁹
არ მეხარბო სხვათ ნაშრომს ჯიბისაკ გასაცურადა.
ხელს ნუ ჰყოფ ვლების ნაწვალებს, ნუ მაიქევეი მგლურადა.
10/09-1987 წ.

**ღავით ხადილაშვილს და ლევან უპილაურს
(მუშაობდნენ საქონლის დაგამოზადებლად)**

მართლაც რომ შესამკობნი ხართ, სიტყვითა გემრიელითა,
სამი საათის მაგივრად ბაკში სამი დღე გელითა.
გვატყუებთ ჩამბარებლებსა, მოკლედ გემოზე გვწველითა,
ჯანდაგში იღებთ მაღალსა, ჯიბით იართო სქელითა.
გარეცხილი გაქვთ სვინდისი, ტყუილზე გადახველითა.
ხაზეინი გყავთ ლევანი, რაც თქვენ ვერ იცით, გშველისთა.
თვალს გიჭერთ შორი-ახლოთა ზღაზენითა, მუცლის ზელითა.
ეგ ადგენს კონდიციასა, თქვენ სასწორს იჭერთ ხელითა.
რომელ ერთ უნდა გაგაძლოთ, აქოსავსებნო გველითა!...
სუყველა დასაჭერნი ხართ, ან დასაზრჩობნი წნელითა,
საღ კლდეზე დასაკიდებნი ფეხებითა და ეელითა.
თავრეც³⁰ სლუმს ამის შემყურე, მამ ხსნას ვისგანღა ველითა?!.
სულ კარგად ვიცი ცხადადა, რაც მოცულია ბნელითა.
სახლშა რაცა გყავთ ოთხფეხი, თავიზარაღდესი მველითა.
სულ მოღად ვაგიწყედესთ ფრთამბული³¹ სრინწათა და ხველითა.
მეჯოგე ვირით დაგყავდესთ, დაგიწიანდეთ წელითა.
მაღე წავივათ იგი დრო, ფონს ვედარ გახვალთ ძველითა.

²⁹ ხორცის დამამზადებლები.

³⁰ თავმჯდომარე

³¹ შინაური ფრინველი.

მონვე დამაფხადებელს

აღარც ქვითარი, არც ფული, ხალხი სამი თვე გელითა.
გაგვინახევრეთ ქონება, ტყუილზე გადახველითა.
გვატყუებთ ჩამბარებლებსა, მოკლედ გემოზე გვწველითა,
პირობას ვადაუხვით, ფასსაც გვისწორებთ ძველითა,
გვიპირებთ გადაყლაპვასა ემაჲ ორფესა მკელითა.
მალთან გაგვითამამლა, ეტყობა. თქვენცა შევლითა.
რად აჩაგვრინებთ არაგველს მითრეულს დარიელითა?!
ყაჩაღსა, ამოსაგდებსა, თავის ჯიშ-სადირკველითა.
ტკბილს ატრიალებს ენასა, აგველს ამაიყვანს ხვრელითა“.
შეჭამეთ ფხოველი ქონება, მაგრა მომაგრდით წელითა.
ვააყსეთ სათავსოები, მატყლით, კალტითა, ყველითა.
ტომრით გაგაქვისთ ფულები, პარკით პირმოუკვრელითა.
მე იმას გირჩევთ, თავკაცნი ნაბიჯით გველოსთ ნელითა,
არ გავიმწარდეთ ბოლოსა სვლა „ჩირნი ხოდი“ ბნელითა,
არ წარსდგეთ ძეტქვის წინა ხელ-ფეხით შაუხსნელითა.
სამსჯავრო სკამზე არ დასხდეთ მაგ თქვენი ყაზბეგელითა.

ილო ვსოველს

ერთ რამეს გეტყვი, ილია, არა სოქვა, მამდვა გულია.
როგორც ბაღის ძუძუ დეღისა. შენც ისე ვიყვარს ფულია.
მოგების ვჩაზე დამღვარსა ჩიტავით ვიცემს გულია,
ნეტავ არჭილოს რა გედვა, რად იმწარე სუღია?!
ნადგურ-ნაკრეჭა³² აგრუე, გირწყვილით ავსებუღია.
საპირიქითოდ გადახველ, სურვილით მიგაქვს ფულია,
მაგრამ მთის წვერზე შემოგხვდა, ყაჩაღ, მოუტყან რჯულია!
მაშინვე გაგაგდებინა საფერზე დაყაჯრულია,
გაგიშვა ცარიელია, პირში თითგამოსმულია.
გვეჯინებოდა შარვალი, კბილით გეჭირა სულია.
სორი ინატრე თავისა, შესვლა არ აყო რთულია.

³² ცხვრის უხარისხო მატყლი.

ფშავშიც ცუდ საქმე აკეთე, სამარცხვინო და კრულია,
გასტეხე შეთეს ჩარდახი, ცხრა კლიტით დაკეტულია.
გამოიტანე სამჭეფლო, ხერხ-საბურველი, ცულია.
ცხრა საპალნიან ლეიბი, ფუთ ედვა საბნის გულია.

ინჟინერებს ბესიკ შოგოჭურს და შალვა სოხობაშვილს

შუაფხოს ხილებ შენდება, ტროსებ მოთარეს გრძელია,
მოვიდნენ ინჟინერები, პროექტის შემდგენელია.
დიდი გათხარეს თხრილები, ბურჯების ჩასადგმელია,
რელსების დასამაგრები, მავთულის გასაბმელია,
ერთი მანქანა ცემენტო, ხარჩენი ძველის-ძველია.
ქვიშა ფინვალით შემოაქეთ, აქ იმის შოვნა ძნელია!..
დაიქრაავეს ბალები, დაჯავშნეს მუშახელია.
ვთქვია: „აგვისრულდა ოცნება, დრო დადვა ხანატრელია!“
როდის იქნება შედეგი, ჯერ ამისი თქმა ძნელია.
მე კი მგონია, გრძელ ხიდსა დრო დასჭირდება გრძელია.
შალიკოსა და ბესიკსა, თავ-რევ, ტყუილად ელია.
სჯობია მამაპაპური, შავარემონტით ძველია.
სხვა გასაჭირიც ბევრი გვაქვს, ვინ არი ჩვენი მხსნელია?!

1970 წ.

ვახტანგ წელაურს

ახალ რადიო დავიდგეს, მთავრობა გახდი ფშავისა.
უკავშირდებით მოსკოვსა, ღიაც „რადისტო“, გკავისა.
საბჭოზე დროშა დაჰკიდე ათ მეტრიანი ტარიითა.
ეცადე, დეკემბერშია არ ჩამოვარდეს ქართია.
არ დაიმშვენო გულ-მკერდი ბიუროს საჩუქართია,
არ გახდე დასაცინარი, ყოველი ვადამდგართია.
არ ვეთქვას: „რატომ წამოვედ ტიალ გუდამაყართია?“

ისევ ბალებთან მერჩივნა, დაფა მეწმინდა ჩვართა.³³
რძის წლიურ გეგმა დაჰხურე ობიან კარაქ-მდნართა,
ხორცის გეგმასაც მიხედე, სვლით წადი თანაბართა.
მართლაც რომ მაგარ ბიჭი ხარ, ტემპით მიდიხარ წყნართა.
მიადევ ციხეგორასა ოროლი რკინის ხართა,
გ'ზა მოგყავს უკანაფშავსა, ზალხს მოასახლებ ბართა.
„ავაეცებ სოფელ ვაკესა წელაურების გვართა.“
მეტ.სადგურ³⁴ ჩასდვი ჭაჩოსა უახლეს დანადგართა, -
არ შეგაწუხოს ავღარმა, საქმე აკეთო დართა.
წინ მიხვალ შეხა მდივინთა, მაგ ფშავის ამაგდართა.

ვანტანე თვარელაშვილს პოსტ პოეზიისაკან

შენ ბიჭებ გ'ზაში შემომხედნენ: „თავი გვჭირდება შენია.
შეყოვეჭირა ზამთარმა, შეშა მოგვიტა ხმელია.
წიფელი გვაქვის მაშარას, მოჭრილი ძველის ძველია.“
სანამდ მე ვავჩუჩუნდები, მათ უკვე მოუთრევია.
დავხედე, ჩემთვის ვიფიქრე: „ეს რატომ აქვის ჩვევდა, -
ესეთ კარგ შეშა სად ნახეს, ალბათ „მოტენეს ლევდა.“
ნედლ მურყან მოუტანია, წვერ-ტოტ ეფინა ბრტყელადა.
სანეროდ გამოვადგებათ, თივაც დაგრნებათ ძველადა.
ჩრდილში წოლა-ძილს გერჩიათ თივა გეითბათ ველადა.
მენგან ტკბილ სიტყვას მოველი, ტკბილ რომ იქნება ხელადა.
კალასს თუ ხელი მოჭვიდე, საქმე წამივა ცერადა.

1993 წ.

³³ ვანტანე წელაური გუდამაყარში მუშაობდა მასწავლებლად.

³⁴ მეტეოროლოგიური სადგური.

**ბენიკ ქოჩაშვილს
პასტანო თვარელაშვილისგან
(პასუხი)**

ხვარა გგონია, შეგრჩება, ეგ ტრაქტორა რომ გყავისა?
თავისთვის კარგა დასოხავ, სხვისთვის ვერ აგიწყევავისა.
ფეხებზე გვიდავ სოფლის გზა, დანა ვერ დაგიღავისა.
თუ ფულა შემოგთავაზეს, კლდის დამმტვრევი ხარ ხალისა.
გამხდარხარ ებრაელადა, ვაჭრობა დაგიწყავისა.
ან კი რა გასაკვირია, შვილი მამასა ჰგავისა.
კაც კაცად უნდა ვარგოდეს, ფულ ცეცხლში ჩამიწვავისა.
აქ სჯობს სიკეთე დასთესო, იქ ვის რა წაუღავისა?
სხვათა საქმეში ვეშლება, მაგანაც იცის თავისა.
ხან აკუმლატორ ვიჯდება, არც იმედი გაქვს ძრ.ვისა.
შენფერა მოხერხებული დედას არ გაუზრდავისა,
მაგრამ მაგ ბოძათ ქალასა შენთვის წუნ დაუღვავისა.
ცვეცნობა დაუბრალებავ, ხაღხში თავ მოუჭრავისა.
ქონათ სახელი, სიძლიდრე, მიუღლ ფშავში ჰქუხს და ჰყვავისა, -
მაგან რა იცის ბენიკმა, მრჩეველიც არვინ ჰყავისა.
მაგრამ სიძლიდრემ რა არგოს, კაცს თუ ის არა ჰბავისა.
ერთ ხის მოტანა შეგთხოვე, ისიც არ მოგითრავისა.
დავწვი შენს იმედს დამრჩალი, ან კი სხვას არგე რა ვისა?
უშემობით, ბესაო, ხელ-ფეხ არ მამიზრავისა.
სუყველას კარგა ეღება, მე ფეხ არ ჩამიქრავისა.
არყს მოვჭრია თუ მურყანსა, ეგ ეკითხება რა ვისა?
შინ მიტანილი ქვაც ქაღობს, შუნ ართუ ვაგივავისა.
თქვენ იფნის წვერ-ტოტ გექნებათ, მამა ტყის მცველი გყავისა.
ბოლის ფულების აკრეფა შვილისთვის მიუნდვავისა.
მეც სიმ წამართვით სამასი, ბილეთი არ მაუცავისა,
დამალული მაქვს ცულ-წალდი, შეშა არ მამიჭრავისა,
ვერც მამიტანავ საცოცხე და ვერც ჩრაქვ ამიყრავისა.
ალბათ ვერც შევალ ტყეშია, სანამ ეგ მანდა სჩრავისა.
ახ, მაშინ რადარ ჩამადლდა, დენას რომ დაუკრავისა...
კიდევ იღბალი, იმ დროსა თვალ ვისამ შაუსწვრავისა,
ემშავთად გამაუგლეჯავ, ცოცხლ-მკვდარ გაუთრავისა.

ზოგან იმასაც ამბობენ: იახსარს დაუკრავისა,
ხევისბრის უკითხავადა ქადა-პურ გაუჭრავისა.
მაგის გამოცლილ კოტრები ეხლაც იქავა სწყვავისა.
არც ძროხათ თივა მაკლია, ჯერ მითთ არ დამითრავისა,
ქოჩათ იმედზე დამჩალსა კუტად არ ჩამიყრავისა.
თივა რომ გთხოვე, გაჰკვირდი, ქვეყანა შავიყრავისა.
თვარულან ვილექსებივართ, შავირცხვენ-მოგიითსრავისა,
ჩვენ დაჩავგრაზე ვილხენავ, ჩონგურიც დაგიყრავისა.
ბევრ თივიანთა ძროხებსა ფერ ეღვა შავი ზღავისა.
სილუბისაგან ძვალ-ტყავით ერთურთზე მძლივსლა ჰბავისა.
კიდეც ვიფიქრე ჩემთვინა, რა მაგრა უკვებავისა!
მგონი ძველადაც დასწირეთ, ოროლ სარ აგიგავისთა.
მე თუ ვითხოვე, ფას მივეც, ვისთვის რა წამირთვავისა.
ეხლა ეს ლექსი გეყოფა, ბიძა გენაცვლოს თავისა.
კიდეცაც გაგცემ პასუხსა, კალამ არ დამიგდავისა.
თუ რა გაწყინა ამ ლექსმა, ბოდიში მაშიხდავისა.

1993 წ.

ზსოვის ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას და მის თავბაბთ

ფშავის ხეობას დაეტყო მომავლის ჩანასახები:
აშენდა კლუბი, კანტორა თლილი ქვით, კონტად ჩაგები,
რვაწლიან სკოლა გაიხსნა, მოზარდთა ბაგა-ბაღები.
ბებრებ ხომ მოქუჩდებიან, თუ არ გვექნება ბაღდები.
უკანაფშავშიც შევალის რეანიზსას ლიასდაგები.
ასადში აგვიშენდება დიდებულთ აგარაკები.
ელექტრონს გაგვინათებენ, არ დაგვჭირდება ჭრაქები.
პირთაგვე ჩამაინაცვლებს გამომკლებული სარყები,³⁵
სოფლებში შევიწროვდება მცხოვრებთა ფარეხ-ბაკები.
როგორც ჩანს, მონახევრდება რძით სავსე ლინგარ-ბაკები,
ცხვარში წაგვივლენ ბიჭები, ცელს დაიქნევენ ჭაკები.
უხვად გვექნება მთებშია ფერმის პირუტყვთა საკვები.

³⁵ მიჯნის ადმინისტრაციის ხის სარები.

აქამდე უქმად ნამყოფთა გვერევა ჟამანაკები.
ბარიდან მოვლენ ფშავლები, შრომაში დანაბრაკები.
დამბალ ხაჭოთი გაძლება ნივრის მწინლაით ნაკვები,
ახალ ცხოვრება გვექნება სანატრელი და საქები.
შიერჩა პედაგოგები, სანაქებო და ნალები,
დგას დიდი გაწამაწია, ცილობა ტვინის წამლები.
წკრიალებს ზარი სკოლისა, ლამის შეირყას თალები.
გაფიცხდა სკოლის უფროსი, ბევრი აქვს მოსაგვარები:
დაავლო საბჭოს ბეჭედი³⁶, საქმე იშოვა მამგები,
ობლად დაწირა მდივანი, სოფლის არაის მარგები.

ვახტანგ თვარელაშვილს ხვთისო ბაიაშვილისგან

შენი ლექსებით, ვახტანგო, ხალხია გადარეული.
მალ-მალ ექნები ქალაქსა კინოსტუდიას წვეული.
გამშველა კოტეტიშვილმა, გამოგარჩინა სწული.
გავჯიმქს ტრიბუნაზედა, როგორც კედელზე შვეული.
შენ ცოლ მღაროს ტირიდა შუაფხვით გამოქცეული:
„ორ კვირა დაკარგულია, სწორშიით გამორჩეული,
მთვრალ-გახეთქილ სამ დავალის, რა კუჭ გაუძლებს, სხეული.
რა აშენებას მამიტანს რესტორანს შემოჩვეული.
ფულიც სამ დაუთხვავის ფუთაში გამოხვეული“.
სახლა ვერ გამიმართავის, საძროხეც ჩამონგრეული.
მეც მავის მოძებარ დავალ, სახლ საქმე გამოლეული.
უგეჟურ იმას ჯავრობდა: „სადრა მოკვდება წყველი?
დავალის ვასოფლებული, სულ გონით გადარეული.
ძაღლ არ დადგება კარზედა, სხვის კარზე გადაჩვეული.
არცარა დედის ჯიში აქვს, არცარა მამისეული.
ჩონა-ახალუხ სხვისი სცვაგ, სილაძაზეზე რჩეული.
ერთ მარჯალ სცვაგის თავისა, საჯდომზე გამოხეული.
ჩემ ბენსიასაც ევა სჭამს, მე მოხრილ დავალ, სწეული.“

1988 წ.

³⁶ ვახტანგ წულაური საბჭოს თავმჯდომარეობიდან სკოლის დირექტორად გადავიდა.

**ხვთისო ბაიაშვილს
ვახტანგ თვარეკლავშილისგან**

დამცინა ტონათ ხვთისომა, დამცინა, გამამასხარა.
მკვდარმაც თუ კვილ იცოდა, მამგონდებოდა აღარა.
თუ შევარჩინო უგნურსა, მამინ შამირცხვეს ჭადარა...
მიწიდა ნიფხავ-ჩახდილი, კაცად ვვარგივარ აღარა...
ეგეთ ფორმაში მაგისამც მენობლის ე-ღებს შამყარა! -
რარივად შავჭიხინებდი, როგორც იაბო საღარა.
გამაშვა თავისუფლადა, არ მეღვას ლავამ-ავშარა.
თავის თვალთამც ეყურა, ეგეც იქ საით მამგვარა.
რასრა იქამდა ნეტარა, აბირდებოდა? - რასარა!
ლექსის ავტორის ძებნაში ქვეყანა შამამატარა.
ეკ თუ შართალი კაცია, ლექსს ბელს აწუხდა რადარა?
მით თქმულა: კაცი მკვეხარი თავკმა სოროში შათარა.
„ეგ ჩემ ცოლისმამამ გალექსა.“ - დავით პავლოვიჩმ მახარა.
დედ-მამის ჯიმ-გვარს მიწუნებს, საქმეს რად სჩადის მონასა.
დედა ზისთანდარს მაკვეხებს, მამას - ბაიათ ტონასა.
კაცი თუ კაცად არ თქმულა, რა ფასი აქვის წონასა?
თავადაც დამსგავსებია ცხრაჯერ გაყიდულ მონასა;
ეგეთა ბეჩავს ვის ნახავთ ემაგ მალაროს ზონასა.
ვახტანგს მაიმუნს აღარებს, თავის თავს - ვარდის კონასა.
მე არც ვახუშტი მჭირდება და არც შანიძე მხეცალა,
ჩემთან ვერ მოვლენ ვერცერთი - ყრუვ გიორგი და მერცხალა
და ეგ შენჯერა პოეტნი ვერცერას დღეს მოქმენ, ვერც ხვალა.
მეზობელ ბეჭო მანდ გყვანდა, თუკი საღეჭსოდ გეცალა.
ჩემდ ვადასევას გერჩიენა ისევე თავ ქვისთვის გეხალა.
ძალიან შესწუხებულხარ, ბევრ ხვარა სჭამე ესკალა.
რა უყვით, შენი ბრალია, მაგდენ არ უნდა გეწვალა.

24/64-1988 წ.

**კავლე ლომნიაშვილს
პახტანზ თვარელაშვილისგან**

გეუბენ, ლომნიაშვილო, თავს ნუ ანებებ ფარასა,
ნუ სტოვებ ორიათასსა ერთ კაცის ინაბარასა.
ღანაკლის გამოვივალის, დაეზიდოდი გარასა.
ჩემ მტერი ელაპარაკოს ლოთსა და წარამარასა!
აბა, რას ახვალ და ჩახვალ მალაროსკარის შარასა?
ეხლა მაჰფხანე ყვერები ვახტანგასა და ჭყარასა.⁷
რას ელი ტუნტურიშვილსა,³⁸ ეგ ჩამოგაწერს არასა.
თუ რა ვალი გაქვს, გასწორდი, ასცდე მეტეხის კარასა.

1979 წ.

**პახტანზ თვარელაშვილს
კავლე ლომნიაშვილისგან**

მძლივ ელით შენ და დავითი მოსვლასა ახალწლისასა.
აბირებთ წელწად დილასა დადგმასა ნაძვის ხისასა.
შუალამისას წასულხარ, ნაბიჯს დააწყო მგლისასა,
მხარზე მიაძტვრევ ნამქერსა, ვეფხვსა ჰვევისხარ კლდისასა.
სავათენებოდ დალახავ ბილიკებს ჭაფნაგისასა.
ასწნდები მგელათ კარზედა, სხივს მიაყენებ შშისასა.
ნათელა გაწკლის გოგასა, დავითო გივსებს ჭიქასა.
შენაც ახალწელს ულოცავ. სუ მასკელავეებს ზომ³⁹ ცისასა...
დაიწყებთ ქეიფობასა, მაპარშავთ ხაჭოს სინკალსა.
ლევან თამადა გექნებათ, შვილსა ჰგავ ხელმწიფისასა.
ცეცხლში მწვალები მიშხინებს, აბეტიტს გაძლევი სმისასა,
ხანდასან თუშურს დამდერნებთ, ხან ფერს დაიდებთ მგლისასა,
ხან გულზე თქვენაც გასტეხლით ციხესა მაისტისასა.

³⁷ მწყემსები.

³⁸ მალაროსკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ტუნტური-
შვილი.

³⁹ კრეფ.

სალომე უელის მურგვალთა ლოგინსა სნეულისასა.
„არ იბადება ვახტანგი! - ხმა გატყდა თენებისასა, -
მგელათ წელწადში წასულა, გავალოკინებ მიწასა!
რად გაიპარა ღამითა, ენას რად გაჰყვა სხვისასა?
სახლში როგორღა მოვიხდენ, მგელათ დავითოს ჭკვისასა?!
რად არ მაიტანს კარზედა საჭმელსა საქონისასა?!“
რა წელწად ქორწილ უნდარის სამოცდაათის წლისასა.
მგელათ ქეიფი სჯობიან ჭანიშოთ თივის სადგასა.

აკვლე ლომნიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან

ბენაო ლომნიაშვილო, პ. ტრონი- ბევრი ცხვრისაო.
სხალზეით ჩამოვარდნილსა ტკივილ გაწუხებებს მირისაო.
მუქუფუფებს გადაურიგე, შემეფურეღა ხარ სისაო.
მე არ მეგონა, მახალაო, თუ იყავ ივეთ ჭკვისაო.
დასდიხარ ხანდასარაი,⁴⁰ შესაბრალები მტრისაო.
ფილიპე იმას ჰკვირვობდა: „მაგის ცხვრებ ტყუელებს ჰყრისაო!“
შენ აღარც საძოვარი გაქვს, შენ თივებს სხვები სთრისაო.
ჩემის აზრითაც ეგრე სჯობს, ქარბუქს რომ ჩამაჰყრისაო.
შეშანიც დაგთავებიან, როცა ძალიან ჰქრისაო.
კაც მალე უნდა ეცადოს, ჯავრი არ ჭამოს მტრისაო.
ძან ძნელ გასადლებია, ბარდან რო ტოტებს ჰხრისაო,
გარეთ გამოსვლა არა ღირს, ღვია ტყეზლების თრისაო.
სად არის მუსის ბილეთი, იქ უკუ-ს ვინ გადაჰყრისაო?
შენ კი რაისლა თავი გაქვ პირმშითში თოვლში ჩრისაო.
სიცოცხლე აღარ გეტყობა, ფერიღა გაძე მკედრისაო.
რაც დაგრჩა, იმას ამბობენ, არაყზე გადაჰყრისაო.
მწყემსი გყავ პარლამენტარი, მლოცველი ქრისტესს ჯვრისაო.
დრო გაქვისთ თავისუფალი, ფრანგულსაც გასწავლისაო.

⁴⁰ საწყალი, ბეზავი.

პარლამენტარი იგულისხმება გოდერძი კუწაშვილი, რომელიც ფრანგულს სწავლობდა.

ვახტანგ თვარელაშვილს კაკლე ლომიაშვილისგან

რა გიქნავ, თვარელაშვილო, რად გაიტეხე სახელი?
ეგრე რარიგად დაითვერ, კაცი მსოფლიოს მმართველი, -
ნაროულაში ჩავარდი, ძალდა ამოგშვირს ცალ-ზელი.
კინად წყალს წველებინე, განდი ყვავ-ყორნის სათრევი.
ალბათ, ხატ ჩამოგეშველა, შუბლზე დაგადგა ნათელი.
მთელ შუაფხოვლთ გაიგეს, მენაც ვიჯავრე რამთვენი!..
თავისა მინც სხვა არის, ჯავამ⁴¹ მძღვია ქნა საქნელი.
სუყველა გამოცდილია, შორს არის ნავალ-ნათრევი.
ხმითა გტიროდა ცოცხალსა, აგყარა თავის სარქველი.
ზელში კელაპტარ ეჭირა, ზოგ გასაკეთო სანთელი.
იმდენ კი ველარ გაიგო, არ იყავ მკვლარნი სათვლელი.
„რამდენ გეუბენ, ბიძაო, აღარ დალიო სასმელი!“
აბირობს თავის მოკვლასა, სახეზე აძე შავ ფერი.
წყალს არა წაალებინოთ, არაგვში ჩადგით ფაცერი.
ან სასმელ არა დალიოს, ეგ არის წნევის დამრტყმელი.
დეგსა ჰგავ ქადლეღასასა, ვინ არის მაგის დამჭერი!
ვაშლზე დაბმა სჯობს მაგისა. თუ ვაქვის ბაღნის საბელი,
ან კიდევ საყვეარ ჯაჭვი, ხარ-კამბეჩების საბმელი.
გომურში არ შაივდება, სად არის მაგის საზგრევი.
საწყინრად არვინ მიიღოთ ლომიაშვილის ნაწერი.

⁴¹ ვახტანგის ბიძაშვილი გიორგი თვარელაშვილი, ამჟამად გარდაცვლილი.

კაკლე ლომიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან

ბეჩო ჩემო მძახალო, დიაც გაგექცა თბილისსა,
გოგოლაურთა დაგწუნდა - მზე გაწუნებდა დილისა.
ჩაბოხვე შეაფხოშია, შაჩვევა გინდა ჩრდილისა,
არ გებადება ჩლიქბული, დრო გაქვის წოლა-ძილისა.
აწვინ სარუცხას ღამრეცხი, ფარა გეხვევა ტილისა.
ძნელია ყოფნა კაცისა, ცოლ-შვილთგან დახეშნილისა.
მუცელში სატკივარი გაქვს, არაყი გშეკლის ხილისა.
დადიხარ გაბეჩაული, აღარა გიკლავ ტირილსა.
რას რა რა შასტამ ნეტარა, მტვერ არ გაბადავ ფეკილისა,
მართლა რო შესაბრალო ხარ, მამა ხარ ოთხი შვილისა.
რადღა რა ღირს სიცოცხლე კაც სახელ გატეხილისა.
მეზოსტნეობა დაგიწყავ, ჩაღება ნიერის მწნილისა.
ძალ-ღონე დაგწვი კაცისა, ნიორწყლით გაკევილისა.
ისევ ახადში წასკლა სვობ, არაყი ხალი სვილისა,
არც გებადება სითეთრე, არც ერბო გაქვის ქილისა.
ახლა მათხოვარ დადიხარ სათესლე კარტოფილისა.
თეკლიკას მეზობელი ხარ, ევა გყავს თავის კბილისა,
ეგ განუგეშებს კიდევა, სიტყვის თქმა უყვარს ტკბილისა.
უმაღლეს ცოდნის ქალია, პატრონი დიდი ტვინისა,
ტყუილის გამამბონები, სხვისთვის მწამები ცილისა,
სხვის მკვდარზე მუღამ მტირალი, გამძრობა დიდი ღხინისა,
დაქალი უღუარდისა, მანამართიც აქვს ბინისა.
თვალ-წარბი მაყვლისეზური, უერი აქვს ღაღებრ ეკინისა.
ამშვენებს ჩაცმა ნიფხვისა, ზაკახით მოძონილისა.
ქალი ღამაზთა ღამაში, ვითა ცისკარი დილისა.
ხელმწიფა არი ბეჩავი, ვაშ-მოღვა აქვის სპეგინისა.
ბიჭურის⁴² ნაყიდს ეძახის ხეს, თუ რამ ასხავ წილისა.
ძალიან ყისმათიანი, მქონე მამაის წილისა,
შეგარდნაძესაც სიზმარში ბიჭურ უნახავ თბილისსა,
იმით გადარჩა მკვლელებსა მტერთაგან მოწყობილისა.

1998 წ. 2 აპრილი

⁴² ხევისბერი ბიჭურ ბადრაშვილი, თეკლეს მამა.

ვახტანგ თვარელაშვილს ვახტანგ ხოშურაულისაგან

გიყვარდა ხშირი ქეიფი, თოხლის მწვადი და ვარია,
არც ჩხუბი, არც ხათაბაღა, არც უმიზეზო შარია.
ვირჩიეს პროფესორებმა, რომ არ გიხილეთ მკვდარია,
შენც თან გაჰყვები არაყსა, თუ ახლოს გაეკარია.
ლოთობა, ბასიაკობა, შენ უფრო მაინხმარეა.
მეხოუდედა თუ შეექვსედ სასირცხოდ გაისვარეა.
გე მუცელ შენ ქვევით არის, როგორ ვერ დაიფარეა...
ნებისყოფა და სიმტკიცე როგორ ვერ მაინხმარეა?
შენ თრევას ველარ აუღის საშედიცინო ჩქარია.
ხევსურთაც გააგებინე სასმლის მონა რომ ხარია.
სულ შაარცხვინე შუაფხო, მთელი თავისი კვარია.
ექიმ მკურნალებს შესწირე თავისი მონაგარია,
სახლის ქირა და ნაშრომი ორ-სამ დღეს გადაჰყარია.
იტყვი, ეს რეები უთქომ, ვლაცას მიუქარია.
მაგრამ შენ ვაბეზავება ველას გვწყონს, არ გვიხარია.
სანამ არ გაუავდრება, ცოტ-ცოტა კიდევ დარია,
სანამ დაჰბერნებს მალლითა სიკვდილ-სიცოცხლის ქარია, -
გაიგონოდი ზოგისგან ჭკვიანად ნაუბარია:
მაწანწალას და ბასიაკს არვის გაულო კარია.
ეხლა რომ გიდგას ეზოში ავარეების ჯარია,
ხალხის ბარგების ზიდვაში წელშიდა მოიხარეა.
ხალხი რას გარკებს, შენ საქმე ვინჩად თუ მაიგვარეა.
თუ არ გაიგებ კარგ ნათქვამს, მაშინ გეწეროს ვვარია.
ღვინო-არაყის ბოილეები წაიღე, შეიჩარეა.
ადვილად ველარ გასწირავ, რაც ერთხელ შეიყვარეა.
შენზე ისე სჭრის ნათქვამი: კელელს ცერცვ მიყვარია.

1980 წ.

პატანზ ხოშურაულს პატანზ თვარელაშვილსგან

დასდინარ გაორყებული,⁴³ ხარსა ჰევეინარ ლომასა,
დაიბატიეებ ბიჭებსა: ლეოს, სეთისუას, თომასა.
დასნდებით ერთის ჰევეისანი, მაგარს გამართავთ სხლომასა.
შახუხავთ „უზბეკურასა“, უფრო ვიმატებთ ნლომასა.
ღღეჭულამ დამძღრებ დასდინარო, ვერ იგებთ მუცლის ზომასა.
მოვაგორდებთ ქალები, ვირებს დაუწყებთ სხლომასა.
ხან დაგეწვება პურები, ხან კი გამაპყრი ცომასა,
გამაივსები ვალითა, დაგიფსი ეგეთ შრომასა!
შვიდას-რვავასებს გადაპყრი სულ მუდამ შემოდგომასა.
ხან მითომ კაცის ვონთა ხარ, რა ღმერთ დაგიწყებს წყრომასა.
ეკრ იცო თავის იოლი, გადაატარებთ ზომა⁴⁴.ა.
ვსლა ჩობნობა არჩიე დათვივით ზვრელში ჯდომასა.
მითომ ყიზლარში გაიქე, საიდან მახვდი შირაქსა.
თელზე ყუდილს⁴⁴ არჩიე ქათმებს უღავრდე „შინაქმა.“
ერთ ადგილს დანდგომ არა ხარ, ათასგან იცვლი ბინასა,
ან ჯალაფთ რაში არგია მუქთამჭამელი, შინაფსა.
ჰევაგამოლულ დადინარ, შენ თავში მწყერები ფრინავსა.
როცა სხვას გაჭირება აქვს, შენ გულ მაშინა ბრწყინავსა.
მანდითაც გამაიქცევი, შენ გაჩერება ძნელია.
გაფრთხილდი, ნაკვეთაურო, არ დაგრჩეს დასაბმელია.
ვის უნახავის, რომ თქმულა ქათმებს მწყემსავდეს მელია?
ხორცი გიყვარდა დედლისა, აქებდი, გეპრელია.
უმ კვერცხიც შენფერიისადა, ამბობენ, მარტებეჯლა.
უზმოზე გადაპყლაპოდი, რო ჩავიბოხოს ყელია.
თუ არ დაგიდგეს დროზედა, უკან შაუყავ ხელია.
ეგებ დიაციც იშოვო, აჩქარდი, რაღას ელია!
ძალე მითარე საფერი, კაბა ან ჯუბა ჰვრელია.
ხვარა გგონია იშოვნო ქალ მუცელმუშულელია,
ბიჭისოვინ მოუკარები, საყელოჩაუხსნელია.

⁴³ გათამამებული.

⁴⁴ დგომას.

ან ქვრივი გაბუსნაული, ვით ეზო მაუზუნელია?
რა რჩევის დრო გაქვს, თუ ძმა ხარ, ბაღლს კი უშოვნო ხვრელია.
საქმეს ჭკვიანა მაექე, არ უნდა იყო შტერია!

1980 წ.

მაცხანე ხომურაულს მაცხანე თმარქლაშვილისგან

გოგოლაურთით ასახლდი, დაჰშორდი შრომა-ჯაფასა,
ჭალიდან შეშით თრევასა, ღვია-ტყემლების კაფვასა.
თეთრ ფქვილის ყიდვა არჩიე მათურხევს სვილის⁴⁵ დაფქვასა,
ზარალსა ცხოვრებაშია, შრომაში წყლისა ნაყვასა.
მოსცილდი ხატ-ხატისკარსა, დღეჟღამ პარჯვრის სახვასა.
სულ გამოქცევა არჩიე ცუდი სიზმრების ნახვასა.
მოესწარ შუაფხოდანა წითელოს თივის ბარგვასა.
ვერ შეეჩვიე ფურხესა,⁴⁶ ვასოს, ყარყატს და თახასა,
ვერც „ბოლის ფულის“ კრუფასა, ვერც ველში ფიჭვის მარკვლასა.
ჩაგივარდება კუტადა, რას ჩამასწველავ „მარწყვასა“.
გამოგელევა საპოხი, დაჭერა გინდა მარხვასა.
ბეტისჩრდილს წასვლა გირჩევნავ ათასგან სახლის მართვასა,
მძული⁴⁷ ხარ, მძული, ზარმაცი, საქმე მითა გაქვს შავადა.
შენ ხომ უქნარა ჰყოფილხარ, მანდი კაცთ საკითხავადა.
დაგხედოს, კაცსა ჰგვევიხარ, ეკა არ გაბია თავადა.
ყროდო, არ გაკლავ ხელ-ფეხი, კუტად არა ხარ, ავადა.
შენ საქმე - მარტო სმა-ჭამა, გადაჰქცეულხარ სვაგადა.
ცელ-ნამგლის ნახვა გაშინებს, არ გინდა სანახავადა.

⁴⁵ ჭვავის.

⁴⁶ ვაცხანე ხომურაული პურისმცხოვრად მუშაობდა.

⁴⁷ საშინელი ზარმაცი.

კვირია ჯაბუშანურს

წუხელ მამიხვედ სტუმრადა, ძალიან იყავ დაჭრილი,
აღარ შეგეძლო სმა-ჭამა, პირამდე იყავ მაყრილი,
მძლეოსნა სდგებოდი ფენზედა, ერთ სხვაკე მიხრილ-მახრილი.
რას დაგათრობდა „ჰერეთი“ ანდა „გარეჯი“ აჭრილი?
თუ ვასურ ჭაჭა დალიე, ბოთლა იარლიკ აყრადი,
აღარ გახსონდა, კარები ღია იყო თუ მაჯრილი?
მაგ კოთხეს გამოვიჭურდვენ, დარჩები შარცხვნილ-მათხრილი!
შუაფხოს მოდის ათასი, ვინ და საიდან მათრილი.⁴⁸
მეც ბევრჯელა ვარ შენფერი, გან თვალემა მაქვს დათხრილი.
როცა ძალიან დაცხება, შენს კუნაში⁴⁹ მაქვს „სავრილი“.
მწუკვინ და მრუდოვინ ჯალაფნი: „ააა წესი შენი ანგრილი!“
მაგაოვან შეწუხებულსა არა კარგა მაქვს დაყრილი.
ისე მამებმის დიაცი, როგორც ბუ დათვი დაჭრილი.
თუ ჭიქა ხელში მინახა, სულ ცეცხლა აქვს მაყრილი.
თუ ფხიზელი ვარ, მაშინებს, ფარ-ხმალი მაქვს დაყრილი,
თუ გავსულ ვახტანგურადა, კარჩი მინახავს გათრილი.

ისევ კვირია ჯაბუშანურს

რატო არ მეტყვი, კვირია, რამდენი მძარტებს ნისია?
უკვე თქტომბერ დადგება, ეალებს აკრეფისია.
იქნება ვეფლები ხვალევე, აწ ჩემი საქმე ისტა.
თავისას ეერას წაუილებ, რად მინდა ვზიდო სსეისია.

წამოდევ, არხოტიონო, ვერ ვამასცხვია ძილითა?
ხო იცი, ადრე ადგიმა როგორ კარგია დილითა.
ვის გუგინავ ცხოვრება კარებით დაკეტილითა.

⁴⁸ მოთრული.

⁴⁹ კვირია ჯაბუშანური იყო შუაფხოს სასაფილოს გამგე. ერთი პაწია ფარულედი ჰქონდა. ჰყიდა აჭრილ „გარეჯს“ და „ჰერეთს“. სწორედ ამის გამო დასცინის ვახტანგი.

ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ ხევისურ მკვლევარს

ნამდვილი კუთხისტები ხართ, გადალესილნი ცოფითა,
გულითა არაწმინდანი, დახავსებულნი ობითა,
ლამის რომ ვაჟა-ფშაველას საფლავს დაადგეთ თოფითა,
რომ რადარ იყო ხევისური, რომ რადარ იყო ურია,
რად იყო ვაჟა-ფშაველა და არა კოგოჭურია!
თქვენს მოქმედებას შეეტყვო ფშაველთად მტრობა-შურია,
მაგას თქვენც გატყობთ, ძმობილნო, რა გინდათ, ვის რა გწყურიათ.
ეგეთ ცრუ მამიებლებსა ვინ უნდა გიგდოსთ ყურია,
თუნდა თქვენ ვილაქლაქებავთ, თუნდ ძალდი ჰყეფდეს მურია!
დავითოსა და გიგასა⁵⁰ ვიცით, რაიცა ჰსურია.
რა გინდათ, რალას დაეძებთ, ვის რა გაქვთ დასამღურია,
შოთაიც ხევისურ ხვარ არი, დაჭყვენეო⁵¹ კედელ-ყურია.

იოსებ ციგროშვილს

ორ მდივან გემსასურება, პავლოვიჩი გვაგს მრჩეველი.
არც კი იციან, საბჭოსკენ საით არს შესახვეველი.
როდემინ უნდა უგზავნო ბარათი მოსაწვეველი?
მესამეც არი საჭირი, საქმე გაქვთ დაუღვეველი...
შენც სანადიროდ ვერ იცლია, დათვით გაივსო ტყე-ველი.
საჩივარ-განცხადებები არ დაგრჩესთ გაურჩეველი,
იფრინილვე, ანად წყობასა კადრი ხარ მაურჩეველი.
საქმეს თუ ხელი მოჰკიდეს, რა არი დაუძღვეველი?!
ფშავში ფლიდი და ორგული არ დაგრჩესთ დაურბეველი.
ცუდი გაგვოსთ, არ დაგრჩეს კარგი კარგმურქმეველი,
არ ათქმევინო ღუმძანსა: დავწვი შენ ამამრჩეველი!

10.07.91 წ.

⁵⁰ დავით გოგოჭური და გივი ზორნაული.

⁵¹ განხრიკეთ.

შუაშხოს საკრებულოს არჩევნებში მონაწილე შიოლა შიოლაშვილს

ვერც გვარის გამოცვლამ გასჭრა,⁵² ვერც შეგროვებამ ხმისამა;
ვერც სნოს დაკლულმა საკლავმა, ვერც ძალამ იახსრისამა;
ვერც სოსო ლუდუშაურმა, კაცმ თავის მიწა-წყლისამა;
ვერც გოგი ოჩიაურმა, ყმაძან არხოტის ჯვრისამა.
არ გაგიძაროლა იმედი, ყისმათმ დაგძლია სხვისამა.
ვერ აპსრულა წადილი ჩანაფიქრმ დიდი ხნისამა,
ყოველ-დღე სანთლის ნთებამა, ხვეწნა-გედრებამ ხვთისამა.
შენსკენ არ გადმოიხედა ანგელოზმ გერგეტისამა,⁵³
გვარ-ჯიშის დაწუნებამა, დათავისებამ სხვისამა
და სამანდატო უჯრებში თავად მოხაზვამ წრისამა.
ვერც გამცნო კარგი ახალი პაკეტმა პრეფექტისამა.⁵⁴

სიზხიზლე გვართებს

ზოგი ლიმონკას მამუქრებს, ზოგი კი ორფესიანსა,
ზოგ კიდევ გაფხავებულსა შავხალს, სპილოსძვლისტრიანსა.
რომლის ხელით რა მიწერავ, რომელი მიქამს ზიანსა?
ანტანტას ადგენთ ჩემზედა, ომს ფიქრობთ შედეგიანსა.
ცინე-კოშკს მანც ავიგებ, სიფხიზლე მმართებს მტრიანსა.
სიზმრებსაც ავებსა ვხედავ, ძალიან ვშმაკაიანსა.
მე ვერვის შეგიზინდებთი, სარ-ცხვარს ვერ მოგგვრით რქიანსა.
ვერ გადარჩება მანცა, რაც ელის ადამიანსა.
კიდევაც დასწერს ვახტანგი ლექსებსა ფხიან-ფხიანსა.
მე კი ძეონია, ბებერსა ვერ მაჭვლეჯთ ორლებიანსა.

⁵² შიოლა ქოჩაშვილად იწერებოდა და შიოლაშვილად დაეწერა.

⁵³ იგულისხმება რაიკომის მდივანი არჩილ შადური, გერგეტელი.

⁵⁴ პრეფექტი იყო სოსო ლუდუშაური, ისიც მოხვევ: ქოჩაშვილებმა ფშავლობა დაიწყეს და მოხვევებად დაეწერნენ – აქაოდა, გაგვიძაროლებს და თანამდებობებზე დაგვნიშნავენო.

ნოდარ ჭინჭარაულს

რაად მალექსებს ნეტარა ნოდარა ჭინჭარაული?
რაად დასტოვა ვერონა, თავისი ყიშლაყ-აული?
იქნება გამოასახლეს, აქვს რამე დანაშაული?
არა სჭირდება „სუღია“, მაგას მე თავად მაუღლი.

იმედა გოგოჭურს

იმედას ულექსებივარ ღუშეთის სასტუმროშია,
დაუწყავ მაჯამურები მიუროშ-მაუროშია.
აქამდე უქმად ნამყოფსა ეხლა მაუგავ დროშია,
ეცვობა პონორარს ელის, ჯიბეს არ უქმ გროშია.
ნეტა რამ გააბედვინა, დევს რო შადბშია გომია?!

ალექსი ჭინჭარაული პახტანზ თვარელაშვილს

ძალიანა მწყინს, ძმობაჲ, რო დასნეული, ვახტანგი.
ვეღარ სომ, ვეღარ მუშაობ, კუჭი გაქვს ნაკერ-ნაფხანთი.
ქალაქში მაინც სცხოვრობდე, ხანდახან ყვერებს დამფხანდი.

პახტანზის პასუხი

ლექსო, ჩემ დაუნანები ღმერთმა ნუ დაინანასა.
ავად ვარ, ძან ჩავვარდი ამ მოხუცობის ხანასა.
ნეტავ ასრულდეს შენ ნატვრა, ანატორის ჯვარმ ბრძანასა,
მალ-მალე მოგაკითხავდი, დროს ვიმოწნიდი, ხანასა.
არცთო შენ დაიზარებდი სნეულის ბეჩავთ ფხანასა,
მაგრამ დასანდობ არა ხარ, კაწარან⁵⁵ გიგვან დანასა.

⁵⁵ ბრჭყვალეტი. დასცინას: კატას გიგავს ფრჩხილებით.

ვადით იქამდე მისული დუმნასაც წაეტანასა!
აქ ცუდ აღარა მამწერო, წერამ არ ავითანასა,
თორღ შენ ისე მოგივა, ფსლიკვ⁵⁶ რო გველს დეეზმანასა.

პახუშტი კოტეტიშვილს

ვახუშტი კოტეტიშვილო, მამნატრდი სანახველადა.
გავიგე, ავად ყოფილხარ, საქმე გქონია ძნელადა.
ექიმთან რამ მიგიყვანა კბილების დასაწვედელადა?
ეგრე სჯობია, ძმობაძა. სინკალს ჩაჰყლაპავ მთელადა.
თბილისს ლექსოსთან ჩამოვედ ა იმათ საფხანელადა.
აღარც გამიშვებს აქითა, თუ ერთ ჩამიგდო ხელადა.
არ შებადება კ სკვა, ფულსა მთხოვს დასახსნელადა.
ციცას თუ მაინც მიუყვან შარვალში ჩასასმელადა.

გიგლა ზირცხალავას

ფირცხალავა გამოვიდა პოეზიის სცენაზედა,
მაყურებელ ტაშით შეხვდა, ყველა დადგა სმენაზედა.
ცხელი ხინკლით გაბრუებულს ლექს დაუსზღტა ენაზედა,
კინალ ღარბაზ დაგვიჩგრია იქით ჩამოფრენაზედა.

ტყის ვეჟავს

გაღესილ ცულით დაღახარ, ტყეს უელი გარე-ჩორკაღესა.
ხეზე კოდალას არ უშვებ, სახელოსნოზე ღურკაღესა.
თავად კი უფრო მეტსა სჭრი წიფელს, იფნსა და მურყანსა.
ჯონსა სხსველეტ ფულუროებსა, - იქნებ წავაწყდე ფურტკარსა.
ბინა-კარს ურევ ციყვებსა, მათაც ზომ მუხა უყვარსა.
შენის შიშითა, ძმობილო, ბებერ ცივს უზის ბუხარსა.

⁵⁶ ხვლიკი.

გიყვარს ფლორა და ფაუნა, მოვლა არ გიყვარს, ბიძია,
ენლა შენ იტყვი: ცოდვაში არასდროს შემბიჯია.
ირმის საშლამით ვერ სძლები, პირს არ გწვავს ნუკრის ჩიჩია.
მშოერი შევლების ფარასა შენც ბევრჯელ სდიე „გეკოთა“,
იმდენი ცოდვის მქნელი ხარ, საშვილიშვილოდ გეყოფა.
რავი, როდემდის შეგრჩება ბუნების ეგრე ხელყოფა?
თევზიც უხვად გაქვს სუფრაზე, შოვნა არ გინდა შორითა.
ძებნა არ გინდა ქვის ქვეშა, თვითონ ამოვლენ ქლორითა.
შეგწყინდა ისკი, კაკაბი, გასუქდი კურდღლის ლორითა.
უხვად ისქელებ ვიბესა მუხის და ცაცხვის მარითა.
მე კი მამანვე მიბოვი, ჯოხს ვჭრიდე, მნასავ შორითა.
მით დასრიალვებ „ვიგულით“, მე კი ნათხოვარ ჯორითა.

პასტანგ თვარაშვილს მიხილ ღანიშაშვილისგან

რა გზით რა უნდა ვიარო, რომ დაგეწიო, ძიაო,
მე ნახსრიდან წამოვედ, შენ ზევით შეგივლიაო.
კაიზანია, შენივინა თვალი არ შემივლიაო.
ვიფიქრე შენი მოხილვა, ხვთისად მადლ მითხოვიაო.
სახლშიც ვიკითხე, კარშიცა, ვერსად ვერ მიმიგნიაო.
ხვარ მოგიტაცეს ციცებმა, ჯავრობდა ერთი ნიაო!
ფშავლებს რო ეგ არა პეჯდეს, ვაჟას დავთობობდი ძნიაო.
შენ ფშავლებს არას არგიხარ, მე ეგრე გამბბრძნიაო.
ეს წერილ ვაპტანგს მისცოდი, ჩემო ზვიადო ძმიაო,⁵⁷
იქნება პასუხ მამწეროს, თუ კიდევ შეუძლიაო.
თორთ ღვინიან ჭიქებსა მენაც კარგადა ცვლიაო.
1992 წ. 18 ივლისი

⁵⁷ იგულისხმება ზვიად ჯაბანიშვილი.

**მიხეილ ღანიშაშვილს
პასტანო თვარელაშვილისგან**

მბისწულო, ღანიშაშვილო, ჩემზე რაღა სცდი ღონესა, როგორ შეჰბედე გაღვესვა მოღვესეს თავმომწონესა? რო წამიკითხეს, ღავიბენ, წყლით ძლიესდა მიძაგონესა. ზოგთ წავაქცეხეს უგნურთა, „კარგი ჰქენს“ მოგწონესა. ზოგნი ვირჩევიდნენ: „არ შესცადე!“ ვერთუ რა გაგაგონეს. ნეტა შენს კეთილმსურველთა რატომ არ გიპატრონესა? ხანდახან ხდება შეცდომა, ჩემთან ვერ გამოგწონეს.

**პასტანო თვარელაშვილს
მიხეილ ღანიშაშვილისგან**

ფშავში ორ ტურა ტანტალებს: თვარელაი და ნადარა. ერთი ცხრა ცოდის პატრონი, მეორე ღლითი. ღანიშაშვილი. შამაქსაგვიან უკლოდა, რაიც არის და რაც არა. ეტყობა, კარგად ვერ მცნობენ, სუსტი ვგონივარ. „პაცანა“. ნეტა ერთადამც მაჩვენა ორნი, იმდენი მაცალა. დავყრიდი ზიდის ყურშია დათოვილთ ასო-მარცვალა. გაუჩნდებოდათ ფშავლებსა საკაფიარ მასალა. როგორ გასრისა ღანიშამ არაგვზე ორი სასსალა.

**მიხეილ ღანიშაშვილს
პასტანო თვარელაშვილისგან**

ნეტავ, რად გადამევიდა ეგ ღანიშაანთ წყვილს. რას მეღავება, რას მებრძვის, რა მაქვის გამწარიწყელი? აქ სადამ დაცანცარებდა. შეგონა ტვინით სწული. ან სხვა ვინ არის სწორ ტკვისა კაცი ღანიშაიუელი? ეგ: ვიცი, გონზე ვერ მოვა, ეშმაკთად არის წვეული.

ავლიბთან⁵⁸ მინც წავიდეს ეგ გიჟი, გადარეული.
მკითხავ მამიდაც გაუგებს, თეთრ ჩიქილ ჩამოსხვეული
სადამდე გამოთამამდა, კაცი, ეგ ჭკვადარხეული?!
თანაც ტურაად მამნათლა ბერი, ჭადარარეული.
ვერცრას ხედისთავს დამაკლებ, ვირცა არაგვის პირზედა,
ბაღლო, ნუ ებრძვი მოხუცსა, იაირო გადაგსიძის ვირზედა.
თავ გამანებე, ვირჩვენავ, ჭირს ნუ იმატებ ჭირზედა,
მეათე არ ჩამოგოლ ნაცართ ივანეს ჩხირზედა!

ვიგო არაბულს

ვიგოსთან წაველ კორმასა, მინდოდა სადღევებელია.
ფას მათხრა განუზომელი, იმის შექენა ძნელია.
არც ყველ ინდომა, არც ერბო, ზეთ უფრო მარგებელია.
თორღ მაგათ მეტ რა მაქვის, მუშტარიც დაუთვლელია.
აიარც მატორებ გამოდის, იმათ შონასაც ველია.
რა უნდა მივცე, არ ვიცო, თქრი კი მამამელია.
ეხლა ფასებიც მატულობს, ზაფხულის მოსვლას ველია.
გაგაგებინებ, ვახტანგო, თუ კიდევ იქენ მთელია.
მარტო წისქვილით გაგმართავ, თუ რამ გაქვს დასაფქველია.
ერთ ტონასა ვფქვავ დღეშია, ხორბალ თუ არის ძველია.
არც ღვინო დამალევინა, არც პურ მაჭამა სძელია,
ეგეთა გამამისტუმრა, მინ მოველ ცარიელია.
დაიწვას მაგის სამჭედლო - ჩაქუჩი, საბერველია!
მაგასთან აღარ გავიკლი, იუ მახსონ შარშანდელია.
მირჩვენავ, მამაპაჭური დავკიდო სადღევებელია,
მე და ჩემ დიაც წავანჩქლეგო, კარაქ ამოდის სქელია.
მზის ამოსვლისას დავიწყებთ, ჩასვლისას მოვრჩეთ ძნელია.

1992 წ.

⁵⁸ ფსიქიატრი ავლიბი ზურაბაშვილი.

სიმონ ჯაბანიშვილს

მე ნორწყალზე მპატიჟობს შალვა ჯაბანიშვილია,
თავად ოც ძროხა შაჭამა, ისისხლიანა კბილია.
ქონსა ღვრის სიმსუქნისგანა ხბოს სორცით გაკვებილია,
კარგად გაიძლო მუცელი, დრო გაატარა ტკბილია.
უხდება გლუვის ნიავი, მიწვება, სადაც ჩრდილია.
არაყიცა მაქვს ქონშა, დაკვეთით გამოხდილია,
გადავკრავთ მე და დარეკვი, შავგვთბობს, როცა გრილია.
გუშინ ერთ მოზვერ წამოკალ, ნადირის დაკლეკვილია.
ქობებში ჩავამარილე ხაშლამა, ცალკე რბილია.
ძალიან მიყვარს ხინკალი, მაგრამ არა მაქვს ფქვილია.
თუ ძმა ხარ, ამამცილოე, სათიბს რო ამოილია.
შენ არ ვიჭამავ ხინკალი, სიმონის დაგრეხილია.
შამაგიწროგვს დათვებმა, ღამე არ მძინავ ძილია.
ქურდებმ მამპარეს ხინამი, არც ძაღლები მყავ ფრახილია.
მე ფხოვის ფერმა რად შინდა. ყველა მყავ თავის წილია.
ხუთი-ექვს საწველ ძროხა მყავს, სამ ცხენს გზუნდილია.
სამ-სამი ღედა ღორი მყავ, სამივე გაკეშილია.⁵⁹
ორი ხუთი წლის მოზვერი, უღელში გამოქნილია.
სამი შაკმაზულ ვირები, ჯორს მადლეგს ბიძაშვილია.
უნდა გავაბა გუთანს, გლუვში კარგ მოდის სვილია.
ასი თივა მაქვს მთაშია, სუ ალერდ⁶⁰ გაგრეხილია.
დიდჭალას მიდგას ღებოთ, ვანხევში კარტოფილია.

1992 წ

⁵⁹ გოჭების დამკრელი.

⁶⁰ ბაღაზის თოკი.

კაკლე ლოზნიაშვილს

რად მაყვედრებ, მძახალო, ერთსა ნაფხვერსა ყველასა.
პირველ თავს შენთვის შაკვერაჲ, რძეს რომ დაუწყებ წველასა.
დავაცხოვ, გამოვიგზავნი ერთ ორ-სამ საფართხელასა.⁶¹
არ გივარგიან ჯალაფნი, პურას გაჭტქევენ ხმელასა.
ეგ სისხლიც იმით გაგიშრა, თან-თან გიმატებს ხველასა,
შენ მაგ ჭირს ველარ იშორებ, მე კიდევ საფხანელასა.
ყურს არც შვილები გვიგდებენ, მასძულებიხარ ყველასა,
რა ვუყვათ, ბედმა გარგუნა, ყისმათი უნდა ყველასა.
ღიაციც გამწყრალი გყავის, რა გესმის მარტოხელასა.
არც წინდებ გებადებიან, გავლევენ ფეხშიშველასა.
კაცი ჯან-ღონით გავსილი ჰგევიხარ ჭიაყელასა,
ხოლოთ ეშმაკიც მაგარი ცსრაჯერ სჯობიხარ მელასა.
აქედან თბილისამდინა შენ სახლ-კარ უკვირს ყველასა,
შენ არჩილის სახლს შაჰხედავ, საკანსა ზიხარ ბნელასა.
დიდი ცოდვების ჩამდენსა, ღმერთ ველარ გიწევს შველასა.
აქამდე კაცი მდიდარი, აწ შესხვე საქანელასა.
უნცროსა დედ-მამისია, ჩაჰბარდი ტარიელასა.
30 ძროხას იყიდის, რძეს არ მოგაკლებს სველასა.
ერთ ისეთ ძროხსა იშოვნეთ, სასმელ რომ მაიწველასა,
მაგ ცხვრებს კი გამოვითავებს, დაგწირავს ცარიელასა.

ლაზოს

ჩემ ძმას უფროსხილდით ლაზოსა, არავინ გამიბრაზოსა.
ჭკვიანად იყოს ურჩევენაჲ, არავინ მაუშაზოსა.
კარ არვინ გამოუკეტოს კაბინეტ-სადარბაზოსა,
ნერვებს ნუ უშლით ძღვივები, არავინ დაგვიგაზოსა.
ჩვენი ნაწერი ოქმები, როდემდის აღამაზოსა.
გალანძლულს გამოგვისტუმრებს, სიტყვას არ გეტყვის ძმურადა.
სწავლების მაგიერადა ჩავგშხამავს უგემურადა,

⁶¹ თხლად გაძომცხვარი პური.

მუხლებში კანკალს დავიწყებთ, როს შემოგვხედავს მგლურადა.
საქმეს თუ ნაკლი შეატყო, ფსიხდება გიტლერულადა.
როდესაც აბობქრდება, მაგონებს ზღვათა ლელვასა,
ხმა აქვის სააკაძისა, მიმოსვლა უგავს ელვასა.
სხვისთვის რომ ეადვილება მოხსნა და უმუშევრობა,
იგემოს, როფორი არის ბირუჯიკების წევრობა.
ნურაფერს მიწვენ ლექსისთვის, ჩვენ ზომ ვართ ძველი ნოტიები,
აღვიღს სხვაგანაც იშოვნის, მანდ თუ შემცირდა შტატები.

ილიო ჯაბანიშვილს

ყური დამივდე, ილია, ერთ სიტყვას გეტყვი გრძნეულსა:
ან სკლს რაისთვილ დონება, ან შ და სტანჯავ სხულსა.
ან მე რაისად მალონებ ბეჩავს, ისედაც სნულსა.
ხვარა გგონია გმირობა, რო მვიჯგნით გადაზრწნულსა.
რად ალაკლაკებ ენასა შხაძაში ამოთრულსა.
ლექსის ავტორი უფრო ჰგავს შინ საქმე გამოღვეულსა,
თქმულა: რაც აწევს ურემსა, ის აჭრიჭინებს, ილია.
შენც რადაც გაწევს, მით შეთხზე ეგ ლექსი რიიმა თლილია,
მონასხურები გესლითა, ხმალივით გაღვსილია,
ძალიანა მწყინს, ძმობამა, არ მეძინება ძილია,
ეგრე არ დამიღარდებოდა, თუნდა მოგეკლა შვილია,
თავს ვერა ვხედავთ სხვისთვისა, სარკე ვაკეკს მამწობილია.
რა ვიცი, ვიოთ პირში თქმა, კაცსა ვაქცე საყვლორ ადა,
რას შეპარებე შორითა, ძიდი და ძითხარ ძმურავა.
მაწუხებს გაუგებრობა, გულსა მწვავს ალკებურადა.
თავში რამ მირტყამს გონება, მკბნევა ხალეებურადა.
თავს მევლებიან ფიქრები, მაქროლვენ ქარებურადა.
ლამის რომ დამძორჩილონ, მატირონ ქალებურადა.
მადარდებს, ძველი სალაში არ გადავზარდო შურადა.
საბჭოში ყოფნას მაყვედრებ, ეგ რაღა საკვირველია,
მითომ საბჭოში შენც იყავ თხუთმეტ-თექვსმეტი წელია.
ან რადარ კუჭი გაგისკდა, ან რადარ მოგწყდა წელია.
თუ არა მოგიტაცებავ, არცარა მაიკელია.

მე რაისთვისღა მიხამა, ზოგთად თუ მარგებელია.
აღბათ არამთა ნაქნარი ალალთად გადამკვრულია.
ერთ ნაკლი სუყველასა გვაქვს, უარყოფითი ზადია,
მაგრამ შენ ფიქრით, სანაგვედ მარტო მე გამამზადია,
ვერე რო გამანადგურე, მგონი ცუდადა სჩადია,
გულს არ გავატენ მაგიოა, ისა ჰქენ, რაცა გწადია.
თუ აქ ვერ გკითხან ცრუებსა, შენ იქ მართალი წადია.

1963 წ.

შუაფსოელ ბიჭებს

ბიჭებო შუაფსოვლებო, როგორ ილოცვთ ღამარი,
ვეფხვიან როგორა გცემათ სამ-სამ ვაჟკაცი ღაჩარი.
სამივ ზედიზედ დაგაწყვათ, დაგინიავათ ნაცარი,
არ თუ იყავით ნახვეწნი, იმით დაგეცათ თავზარი.
იმის მოქრეველ მუშტებით მიწას გაჰქონდა ზანზარი.
სამივეს თავებს დაგჭრიდათ, წელზე რომ რტყმივი სანჯარი.
აი, თქვე საღიაცენო, მარცხ არ გამოგავ ამგვარი,
ხალხში როგორღა გამოხვალთ, დაიწვას თქვენი ჟამკარი.
რა მოგივიდათ, რა მოხდა, რა დრო დაგეცათ წყველი,
ვანთ ჭალაში იპოვნეთ, დირექტორ ვადაქვეული.
ღორღებში გაჭედდიდიყო, გმინავდა, როგორც სნული,
ცხვირთანით წამასდიოდა, მუცლიდან ამონთხეულია.
ვერ ივებს მუცლის ზომასა. თავრეობაში⁶² ჩვეული,
ერთ ბოჭკა ღვინო არ ჰყოფნის, ჭედილა რქადანხეული.
ე კაც მაგის მეტ არ არის, რამ გაალორა წყვეული,
მგელათ დავითოს სჯობავს მუქთა სუფრაზე წვეული.
სახლში ართურას აჰქევენ, ყარაოდ თუ აქვ ქვეული.
ეგ ბევრჯერ დარჩა ვზაზედა სასმლისკან ჭკვარეული.
რას ემუშრება, არ ვიცი, ან როგორ უძლებს სხეული.
ბოჩოლა ხელად გასკდება ძაან ბევრ შრატლალეული.
სახლში მისთარეთ, დასდევით, უგონო გადახრწნეული.

⁶² თაკეჯდომარეობაში, იგულისხმება ვახტანგ წელაური.

მაგ ლადოს რაღა მაუნდა არა მაქვს გამოკვლეული,
სამ კვირას სახლში წოლილა კლდეებზე გადამტვრეული.
ციხე-გორაზე გდებულა ჩაჟეჟილ-ჩამოსეული.
გონება გადაღლილია, იქს-იგრეკოთ გამოსეული.⁶³
დაიწვას მაგის ალგებრა, ლოგარიტმების რვეული,
თან ჩანს სულზარბად დაღია ალაჯანოვისეული.⁶⁴

ღმესაბით მოვიგონებენ

დავივრები, მხიარული ვარ, თუ არა, ვზივარ მუნჯადა,
მაშ რა ვაქნით ენასა, არ გამოდგება ფუნჯადა.
ლექსი არა ვთქვა, მა რა ვქნა, სხვა რა დამრჩება უნჯადა,
ლექსებ. ა შომეკონებენ. ცოცხალს კი მოგვლას ყუნჯადა,
ხანდახან მიყვარს კაფია მეტოქის მოსაკუნჯადა.

1980 წ.

წავიდა ახალგაზრდობა

წავიდა ახალგაზრდობა, ძახილი ჰერი-ჰერისა,
კარგა ქალაის ალერსი, პირტურფა, მშვენიერისა.
ჩვენც წავალთ, როგორც სხვა მიდის, დრო დადგა ჩვენი ჯერისა.
ანაიწურა ვალები ამ წუთისოფლის ცქერისა.
კაცს არ გასწირავს დღე-წერა, ხელიმც ნუ მოგვკლავს მტერისა,
ხომ დარჩებიან შვილები, იმედს ზვარა ვართ ვერისა.
ტიალი ლხინი, ქორწილი, ახმიანება ჭერისა.

⁶³ ლადო წელაური, მათემატიკის მასწავლებელი.

⁶⁴ ქემოქედიდან (დედოფლისწყაროს რ-ნი) მოტანილი ღვინო.

* * *

ხვარ შავაწუხე სოფელი შოთაის კერატივითა,
შამაგდეს საყინულეში, გამღვერეს⁶⁵ ლატანივითა.
შამაგდეს საძვილეშია,⁶⁶ მახლაგდეს ბატკანივითა.
თან თეკლე⁶⁷ მელანდებოდა, ძეჭირა ნაჯანივითა.

ვ. თვარელაშვილი

* * *

მიქელ-გაბრიელ მესტუმრა, თავს მედგა როგორც ჩაფარი.
უკანვე წავაღებინე კუბოზე გადასაფარი.
ამის დროც კიდე მუალის, ან კი რა არი საჩქარი?

ვანტანგის და ვიორგი ჯავარიძის კამპროვა

ვანტანგი საბჭოში იჯდა და წერას არ ამთავრებდა. ლექსი
გაგუგზავნე და მიპასუხა:

როგორ გაბედა იურმა ვანტანგი ულექსებია?
რას გამარჩები ფშაველებსა, ენა გვაქვს შესაქებია.
კიდევაც მაგარს იტყვიან ლაშარელაის ყმებია.

ჩამწ. გ. ჯავარიძე. 1973 წ. ივლისი.

⁶⁵ გამატყავეს.

⁶⁶ საბატკნე.

⁶⁷ თეკლე — თბილისელი დამსვენებელი, რომელსაც იმ ოთახში ეძინა
ზილმე. ჩამაწერინა შიოლა შიოლაშვილმა 2002 წ. იანვარს (რედ.).

* * *

არაგვი აღიღდა და ხილთან მისასვლელი გზა მოწყვიტა. საბჭოს მდივანი — ვახტანგ თვარულაშვილი გამოიღმა დარჩა. საბჭოს თავმჯდომარე — დავით ქოჩაშვილი — გაღმა. ვახტანგს გაღმა გასვლა უნდოდა. გაღმა სასადილოა და იქ არაყი ევსებოდა. მიუვლ საათს იარა არაგვის პირას. გაღმიდან ხელებით ესაუბრებოდა დავითს. გავაღვიქვ:

წუხუნ არაგვი მოდიღდა, რიფუნე მორბის მკივანი.
გაღმა დავითი დავვირჩა, გამოღმა — საბჭოს მდივანი.
ვახტანგს არაყის სმა უნდა, გულზე ცოტა მტკივანი,
დავითს ეწვდება გაღმითა ხმაშაღლა გადამკივარი:
— დავით, დროულად გამოდი. უქვად ას შენი დივანი.
ურბენენ არაგვის ნაპირს, თვალზე ცრემლჩამომდინარე —
„გამოღმით შენ ხარ, გაღმით — მე. შეუა ჩავვიდის მდინარე“.

ვახტანგმა ამ ლექსზე მიხასუხა:

— დამეხსენ, ძმაო იური, რას ამეკიდე ჭირადა?
რად გიკვირს ჩემი ჭამა-სმა, აქ რო დამიდეგ მშირადა.
ჩემი ნაფხანთი მუცელი გაგიხდათ გასაკვირადა,
რომ არ დავლით ტიალი, ისე დღე წავა ძვირადა.

გ. ვაფარიძე. 1973 წ. ივლისი, შუაფხვი.

* * *

ვახტანგი იმ დღეს კიდევ ვლექვ:

გამოღმა დარჩა ვახტანგი, ნაპირზე დავალს ფეხითა.
გაღმა ვაყები არაყს სმენ, გული ვვსება სევდითა.
— შენამც დავლივინა, არაგვო, ჩემის ტანჯვით და წვალებით!
სასადილოსკე იხედვის ვახტანგი მწყრალის თვალებით.

ამ ლექსზე იცინა და არა უპასუხია. საბჭოს აივანზე ვისხედით და ვახტანგი მოწყენით გასცქეროდა გაღმა ნაპირს. კუთხარი, ალბათ, ასე ფიქრობოქო:

– თემსაბჭოს ვზივარ უქმადა, გულში გამება დარდები.
თუ სასიკლ ველარ მოვსეღე, არაგვი გადავჯარდები.

მაპასუნა:

სულსა ვერ მივცემ ეშმაკსა, დე, კუჭი მქონდეს წმიერი.
გაუმაძღარსა მუცელზე გონება მაქვის ძლიერი.

მერე ვაღძიდან ვილაცამ გამოაღწია, ღვინო გამოიტანა და ვახტანგი დაიპატიჟა. მივალექსე:

შენი შემშურდა, ვახტანგო, კა ყისმათ კი მოგივიდა,
სასმელს აუღვამს ფეხი და გამოღმა გამოგივიდა.

ჩაწერილი გ. ჯაფარიძის მიერ შუაფხვოს
1973 წ. ივლისში.

აკვლე ლომნიაშვილს ვახტანგ თვარკლაშვილისგან

ერთი ფათოლი თამბაქო გამამიგზავნე, ძმაწალო,
აქ კი ვერ ჩაძამიარე, მექოს ყოველ-ღლე დახვალო.
ჯალაფთ არაფრის მარგებო, იმათთვის ოქროს მარცვალო.
აღარც ლონღიშომ დაგისხა, მუცელ რით უნდა მაპკალო?
შემანიც დაგთავებიან, შე ჩემის ცოდვით დამზრალო.
„ამ ზამთარს როგორ გავუძლებ, სან იტყვი: გომბურ დავშალო!“
ან ცხერებში როგორღა დახვალ, სუ მუდამ ხელ-ფეხ დამზრალო.
მაგიტ კი არას მაიშლი, მაგარ კაცი ხარ, მაწალო.

1993 წ.

პანტანო თვარელაშვილს კავლე ლომიაშვილისგან

უთხარით თვარელაშვილსა, პავლე რას დაუბარებსა,
შიქარ-შირვანში ნუ დადის, ნუ სწირავს ფშავის მხარესა.
ციხეში მაინც არ ჩაჯდეს, ფარას ნუ ჩაიბარებსა,
ისეც ფულიან საქმეა, თუ კაც ვკვას მაინშარებსა.
მე ვნახენ შუაფხოშია, გვანდა გუგუდათ ფარებსა.
წონ ედგა ხოშურაული – მააძუებდა სამებსა.
უხდება სასუიშობა, ვერვინ რას მააპარებსა.
სასმელიც აკრძალული აქვს, ერთი კვირას აღარ დაღვესა.
არც ღედაკაცებს დასდ-მასდევს, შორს ერიდება ქალებსა.
ხან თქვენაც გაგიჯავრდებათ, დააბრიალებს თვალებსა.
როდემდე უნდა გიყუროთ ბასიაკებსა, მიფრალებსა.
ცხარას გაჭყევ, თვარელაშვილი, ნუ მასთქობ ზეტრე-პავლესა.
რადარ გაუშვებ ფარასა, რადარ გაუღებ კარებსა?
თან გუნებაში იცინის: ეგრ უნდა ფულის მძაღვლესა.
სხვის მაგდაზე ნახვევსა, მუქთაზე ღვინის დაძღვლესა.
რას დასდეთ ნაკვეთაურსა, ვალიკოს დანაბარებსა.
შუა მინდორში დაგწირნათ ეძებთ თავ-შესაფარებსა.
მისხდებით ჯაგის ძირშია, წიკვას გაახვევთ მწარესა,
მალ-მალ ახედნებთ მალადა – როდის რა გაიდარებსა?
მპლივს ელით ზამთრის წასვლასა, სუ მზეს უყურებთ, მივარესა.
შირაქ-ყიზლარში რა უნდა მდივანსა, თავმჯდომარესა,
ან ფურნე პურის ისტატსა, რას დასდით არე-აღვსა?!
მგინი, ვირებიც დატყარვეთ ჯაგაან ფურის მხარესა,
მოძებნეთ აღაზნის გაღმა, თათრებმ ზვარ დაიპარეს.
რაითლა ზადავთ ნაბდებსა, ტანზე რას დაიფარებთა,
ან კიდევ სასმელ-საჭმელსა, ღვინო-არვის ტარებსა?!
მაინც კი არა გიშავთა, კი დროს ვაატარებთა.
ახლო გაქვთ ღვინის ზალი, როცა მატყელს ჩაიბარებთა.
ვალიკოს ნუ დაპატივებთ, მაგას ნუ დაუბარებთა.
სულ ნუ ჩამასობთ შტოლთანა, ახლოს ნუ გაიკარებთა.
ემაგან გამოვილიათ გამოსავალი გარეთა,
ახლა თრიალეთს გამზადდებთ, ცხვარ რო გეემბის მწვანესა.
ნუ გაუგონებთ მაგასა, ნუ წაზვალთ სამზღვარგარეთა.

თვარელაშვილს ლომნიაშვილისგან

თვარელაშვილ ჩამიწერეთ უხელ-ფეხო ფურცელშია,
ტეტიათ ძაღლ როგორ მისწვდა შუადღეში მუცელშია?
მართას ნაზიდ წინწანაქარ ჩასდის შარვლის უბეშია.
თავქვდომარე ფეხზე დადგა: „დავურეკავ დუშეთშია,
ეგ ძაღლ წელან მენაც მომწვდა, სისხლი ჩადგა წულებშია“.
უკანაფშავში წავიდეს, დაზღვეს დიდი ნუგეშია.
თამარა ხირურგი ჰყავის მარჯვნივ სახლის კუთხეშია.
დილ-დილ დეკის ყოილს ასმევს, დარბის მთების კულებშია.
სუ ეგეთ ხალხში იყავით, ნუ იქნებით ცულებშია.

ავტორი: პავლე ლომნიაშვილი
მოქმელი: დავით მგელაშვილი
ჩამწერი: მარინე ბაკურიძე
1969 წ.

ს ა რ ჩ ე ბ ა

გაუტენელი მოლექსე (ტრისტან მახაური) -----	3
კაფიები -----	10
ვანტანგი და ჭრელა უძილაური -----	10
მათე სუციშვილი და ვანტანგ თვარელაშვილი -----	10
პავლე ლომიაშვილი და ვანტანგი -----	19
ვანტანგი და ფორთიხალა (გიორგი მჭედლური) -----	10
ვანტანგი და შეთე ხახონიშვილი -----	10
ვანტანგი და მათე სუციშვილი -----	11
ვანტანგი და სასიმამრო -----	11
ვანტანგი და შეთე -----	11
შეთეს -----	11
ვანტანგი და იმედა ხიშურაული -----	11
ვანტანგი და გელა ლიქოკელი -----	12
ვანტანგი და მოსე მახაური -----	12
ვანტანგ თვარელაშვილი და ვანტანტი კოტეტიშვილი -----	12
ლევან ბოძაშვილი და ვანტანგ თვარელაშვილი -----	13
ალექსი გოგნელაშვილი და ვანტანგი -----	13
ვანტანგი და უცნობი ფშაველი -----	13
გალექსებანი -----	14
მონკავშირის გამგეს, კოლას -----	14
ღუშელ მესათეს -----	14
ღუშეთის სამღებროში -----	14
ღუშეთის სახელგამის ძალახაის განკიდველს, იბხას -----	15
ერთხელ ძალაროს ჩავედი... -----	15
გომბორელ ზოტეჭოკოსს -----	16
ვირის საყიდლად წასული -----	16
ვანტანგის პასუხი -----	16
იოსებ გოგნელაშვილს ვანტანგ თვარელაშვილისგან -----	17
ვანტანგ თვარელაშვილს იოსებ გოგნელაშვილისგან -----	17
იოსებ გოგნელაშვილს ვანტანგ თვარელაშვილისგან -----	18
მიხეილ ჭინჭარაულს -----	19
ვლადიმერ წიკლაურს -----	20
პენსიონერის ჩივილი -----	20

უშანი ბობაშვილს -----	20
ორი წლის შემდეგ -----	21
თავის თავზე -----	21
ღიაცს -----	21
კვლავ თავის თავზე -----	22
პეტრე ზიბლაშვილს -----	23
ვახტანგ თვარელაშვილს ჭრელა უძილაურისგან -----	23
ჭრელა უძილაურს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	23
კანატივლებს -----	24
ნიკო ბულალაური ვახტანგ თვარელაშვილს -----	25
ვახტანგის პასუხი -----	26
ღურა არაბულს -----	27
ვახტანგ თვარელაშვილს გიორგი ელიზბარაშვილისგან -----	28
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	28
გიორგი ელიზბარაშვილი ვახტანგ თვარელაშვილს -----	29
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	29
ვახტანგ თვარელაშვილს გიორგი ელიზბარაშვილისგან -----	30
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	31
ვახტანგ თვარელაშვილს გიორგი ელიზბარაშვილისგან -----	32
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	33
გიორგი ელიზბარაშვილს -----	34
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	35
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	35
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	36
გიორგი ელიზბარაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	36
ბენედიქტო ბეხოქლიშვილი -----	37
ჟინვადის ექიმ ალიკას -----	37
ვახტანგ თვარელაშვილს მიხეილ ჭინჭარაულისგან -----	37
მიხეილ ჭინჭარაულს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	38
ნიკო ქოჩაშვილს -----	39
კვლავ ნიკო ქოჩაშვილს -----	39
ვახტანგ თვარელაშვილმა აღუქსა შუაფხოველი ნიკო, რომე- ლიც ხევსურს წაჩხუბებია -----	40
ნიკო, მოხედე საქმესა -----	41
ჩემს ახალ თავმჯდომარეს, დავით ქოჩაშვილს -----	41

ისევ დავით ქოჩაშვილს -----	42
მურადი ლომაშვილს -----	43
დავით ხადილაშვილს და ლევან უძილაურს -----	43
მოხვევე დამამზადებელს -----	44
ილო ფხოველს -----	44
ინჟინრებს ბესიკ გოგოჭურს და შალვა სოხობაშვილს -----	45
ვახტანგ წელაურს -----	45
ვახტანგ თვარელაშვილს ბესიკ ქოჩაშვილისგან -----	46
ბესიკ ქოჩაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	47
ფხოვის ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობას და მის თაკვაცთ -----	48
ვახტანგ თვარელაშვილს ხეთისო ბაიაშვილისგან -----	49
ხეთისო ბაიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	50
პავლე ლომიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	51
ვახტანგ თვარელაშვილს პავლე ლომიაშვილისგან -----	51
პავლე ლომიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	52
ვახტანგ თვარელაშვილს პავლე ლომიაშვილისგან -----	53
პავლე ლომიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	54
ვახტანგ თვარელაშვილს ვახტანგ ხომურაულისგან -----	55
ვახტანგ ხომურაულს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	56
ვახტანგ ხომურაულს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	57
კვირია ჯაბუმანურს -----	58
ისევ კვირია ჯაბუმანურს -----	58
ვაჟა-ფშაველას ზოგიერთ ხევისურ მკვლევარს -----	59
იოსებ დიგროშვილს -----	59
შუაფხოს საკრესულის არჩევნებში მონაწილე შიოლა შიოლაშვილს -----	60
სიფნიზლე მმართველს -----	60
ნოდარ ჭინჭარაულს -----	61
იმედა გოგოჭურს -----	61
ალექსი ჭინჭარაული ვახტანგ თვარელაშვილს -----	61
ვახტანგის პასუხი -----	61
ვახუშტი კოტეტიშვილს -----	62
გიგლა ფირცხალავას -----	62
ტყის მცველს -----	62


ვახტანგ თვარელაშვილს მიხეილ ღანიშაშვილისგან -----	63
მიხეილ ღანიშაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	64
ვახტანგ თვარელაშვილს მიხეილ ღანიშაშვილისგან -----	64
მიხეილ ღანიშაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	64
გივო არაბულს -----	65
სიმიან ჯაბანიშვილს -----	66
პაველე ლომნიაშვილს -----	67
ლაზოს -----	67
ილო ჯაბანიშვილს -----	68
შუაფხოელ ბიჭებს -----	69
ლექსებით მომიგონებენ -----	70
წავიდა ახალგაზრდობა -----	70
ხვარ შავაწუხე სოფელი... -----	71
მიქელ-გაბრიელ მესტუმრა... -----	71
ვახტანგის და გიორგი ჯაფარიძის პაექრობა -----	71
წუხელ არაგვი მოდიდდა... -----	72
ვამოღმა დარჩა ვახტანგი... -----	72
პაველე ლომნიაშვილს ვახტანგ თვარელაშვილისგან -----	73
ვახტანგ თვარელაშვილს პაველე ლომნიაშვილისგან -----	74
თვარელაშვილს ლომნიაშვილისგან -----	75



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0108, ი. ჯავახიშვილის ხეივანი 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 60

E-mail: universal@internet.ge



**ვახტანგ ნიკოლოზის ძე
თვარელაშვილი** დაიბადა
1926 წლის 13 მაისს დუშეთის
რაიონის სოფელ შუაფხოში.
1942 წელს დაამთავრა
ბარისახოს სკოლა-ინტერ-
ნატი.

33 წელი მუშაობდა შუაფხოს სასოფლო
საბჭოს აღმასკომის მდივნად.

ვახტანგი იყო შეუდარებელი მოლექსე და
მოკაფიავე. მისი ნათქვამები ზეპირად
ვრცელდებოდა ხალხში.

გარდაიცვალა 2001 წლის 13 სექტემბერს.